ივერია

ფასი ნომრისა 10 კაპეიკი.

№ 14

კვირა, 4 ივნისი

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი წლის დამლევამდის 3 მან.; ხუთი თვით 2 მან. | 1877—1906 | ადრესი: ტფილისი, ფრეილინის ქ., № 5. ტელეფ. № 922.

სარჩევი:—**ავაზაკობა და მთავრობის ტაქტიკა** X-ისა.—**კავკასიის ავტონომია თუ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიები**, მ. დ—ლისა.—**შენიშვნა**, დ. ჯოლეველისა.—**სათათბირო და მინისტრები**, კ. ს—ისა. **პატარა კაცის პატარა ფიქრები**, ა—ლისა.—**ეჭვით შეპყრობილს**, (ლექსი), დ. თომაშვილისა.—**სათათბირო და მუშათა დეპუტატები**, *-სა.—**ქრისტიანობა და მუშათა საკითხი**, ია. ზ—შვილისა.—**დაბრუნდა!** სვ. ყიფიანისა.—**წერილი რედაქციის მიმართ**, ნ. ლომაურისა.

ავაზაკობა და მთავრობის ტაქტიკა

სწორედ შესაფერი ვითარება შეჰქმნა და შესაფერი ნაყოფი მოიღო გამძვინვარებულმა რეაქციამ. თვითონ მთავრობამ თავის მოქმედებით უჩვენა ქვეყანას საუცხოო მაგალითი აყაჩაღობის და ავაზაკობისა, და დღეს ყველანი ნათლად ვხედავთ, რომ ამ მაგალითმა ფუჭად არ ჩაიარა და მიმბაძველნი ბლომად გაიჩინა.

აგერ რამდენიმე თვეა, მთავრობა დაუნდობლად,—ცეცხლითა და მახვილით,—იკლებს და ანადგურებს მთელ ქვეყანას. შეიარაღებული ლაშქარი თვითმპყრობელობისა ყოველ დღე ხალხის აუარებელ ქონებას სწვავდა და სძარცვავდა. იშვიათად დარჩენილა ჩვენში ვინმე ისეთი, რომლის ჯიბესაც კაზაკისა და სალდათის ხელი არ შეხებოდეს და იქიდან რამე წილად არ ხედომოდეს. არა თუ სოფლებში, სადაც გამგონი და გამკითხავი არაკინაა, არამედ ტფილისშიაც, ნამესტნიკის სასახლის წინ, სადაც ადგილობრივი უმაღლესი მთავრობაა დაბუდებული, კაზაკები ყოველ ცისმარა დღეს, ცხადად და დაუფარავად, მოქალაქეთ ჯიბეებს უცარიელებდენ, ხოლო ვინც ხმას ამოიღებდა და პროტესტის გაცხადებას გაბედავდა, მთავრობის აყაჩაღები მათ თოფის კონდახებითა და მათრახებით ზურგს უჩრელებდენ. ყველამ იცოდა, რომ ეს ძარცვა-გლეჯა მთავრობის სურვილითა და ნებართვით სწარმოებდა და ამიტომ არავის ფიქრადაც არ მოსდიოდა სასამართლოსთვის მიემართა საჩივრით, რადგან წინდაწინვე იცოდა, რომ აქედან, გარდა ხარჯისა, მისთვის სასარგებლო არა გამოვიდა რა. და ასე, ამ რეაქციის დროს მთავრობის აგენტების ავაზაკობა რაღაც ფატალურ, აუცილებელ უბედურებად იქმნა ცნობილი საზოგადოებისაგან, ყველა თითქოს შეეჩვია ამ უბედურებას,—აღმაშფოთებელი ძალმომრეობა, უკანონობა ყოველდღიურ ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა და არც ერთ დაზარალებულს აღარ უკვირდა, როცა ჯერი მასაც ერგებოდა და მთავრობის მოძალეები მასაც წაართმევდენ ქონებას.

ძნელი გასაგები არაა, თუ რამდენად შეუწყობდა ხელს მთავრობის ასეთი ვაკხანალია საზოგადოებაში კანონიერობის შემეცნებისა და შეგნების გაძლიერებას. ხალხში მოიპოვება ისეთი ელემენტები, რომელნიც მოკლებული არიან გონებრივსა და ზნეობრივს ცნობიერებას, ქონებრივ გაჭირვებაში იმყოფებიან და ამიტომ მათ ავაზაკობის გზაზე დასადგომად მხოლოდ გამამხნევებელი მაგალითი და მოხერხებული დრო ეჭირვებათ. და, აი, დღეს, როცა მთავრობის ავაზაკური მოქმედება, წინანდელთან შედარებით, ცოტათი შემცირდა, თვით ხალხის წრეებში წარმოსდგა და განვითარდა ავაზაკური ძალმომრეობა და ძარცვა-გლეჯა. ისე დღე არ გაივლის, რომ ოცი და ოცდაათი შემთხვევა არ მოხდეს თავს დასხმისა და მკვლელობისა. არავითარი ფასი და პატივისცემა აღარ აქვს არც საკუთრებას და არც სიცოცხლეს ადამიანისას. ისეთი ოჯახი აღარ არის, რომელსაც უსახელო მუქარის წერილი არ მიეღოს მძარცველთაგან, რომელნიც ფულის მოთხოვნის საბუთად არა იშვიათად სხვა და სხვა პარტიებსა და „კომიტეტებს“ ახსენებენ და ადრესატებს ყუმბარისა და ტყვიის მოლოდინით აშინებენ. თავს დასხმის დროს არ არსებობს არავითარი გარჩევა, არც შებრალება. ეს თავზე ხელაღებული ყაჩაღები, რომელთაც თავი განწირული აქვთ, ქათმის ოდენადაც არ აფასებენ ადამიანის სიცოცხლეს. ყოველი „გამარჯვება“, თითოული მათთვის კეთილად დასრულებული თავს დასხმა ენერგიასა და ძალას ჰმატებს ამ ავაზაკებს და ამრავლებს მათ წამბაძველებს. მთელი საზოგადოება შიშს ქვეშ იმყოფება, ცხვირი გარეთ ვეღარავის გამოუყვია, სახლის კარები მისულ სტუმრისთვისაც შიშით ვერ გაუღია. თითოული მსახური რაიმე სამრეწველო ან საავეჯრო დაწესებულებისა, რომელსაც რაიმე დამოკიდებულება აქვს აღის კასასა და ფულთან, დარწმუნებული არ არის, რომ დღე მშვიდობით დაუღამდება და საღამოს შინ ცოცხალი დაბრუნდება. ავაზაკებმა შიშის ზარი დასცეს მთელ საზოგადოებას და ამ შიშიანობის წყალობით ასპარეზი გაუფართოვეს თავიანთ ყაჩაღურ გამბედაობას.

რას შერება ამ დროს მთავრობა, სდევნი ამ ავაზაკობას? რასაკვირველია, სიტყვით იგი „კანონიერობისა“ და „წესიერების“ მომხრეა და ამ „კანონიერობის“ სახელით მოქმედება მაშინაც, როცა უიარაღო ხალხს სახლებს უწვავდა და ჯიბეებს უცარიელებდა. ამავე „კანონიერობის“ სახელით მან იარაღი ჩამოართვა მშვიდობიან ხალხს, ხოლო მძარცველები და ყაჩაღები შეიარაღებული დასტოვა. და დღეს, როცა უიარაღო ხალხი შეიარაღებულ მძარცველთა ბრბოს წილადა დატოვებული, მთავრობა ჩუმ-ჩუმად იღიმება და ნიშნის მოგებით გვეუბნება: „ახია თქვენზე! რევოლუციას ეტრფიალებოდით და, აჰა, ესეც თქვენი რევოლუციაო!“ მთავრობის პსიხოლოგია ადვილი გასაგებია. როცა თვითონ მან ჯარი მიუსია ხალხს და დაარბევინა, იგი ფიქრობდა, რომ ამით ხალხს უკიდურესობამდის გამწარებდა, თავისუფლებისადმი მისწრაფებას

დაუჭლუნგებდა და წინანდელ დროს მოანატრებდა. დღეს ამ მიზანს ემსახურება „კერძო თაოსნობა“, კერძო ყაჩაღთა საქმიანობა. მთავრობა მოელის, რომ ამგვარად შეწუხებულ საზოგადოებას მოენატრება მყუდროება, მშვიდი ცხოვრება, ხელს აიღებს რევოლუციონურ მისწრაფებაზე და გულს გაუერთებს ბიუროკრატიულ მთავრობას, რათა მას შეჰმატოს ზნეობრივი ძალა და ავტორიტეტი მყუდრო, მშვიდობიან ცხოვრების დასამყარებლად.

უეჭველია, მთავრობის ეს მოლოდინი, როგორც სხვა მოლოდინიც რეაქციისა, არ გამართლდება და ახლანდელ მთავრობას ვერ ააცილებს აღგვას დედამიწის პირიდგან ვერავითარი,—ვერც სახელმწიფოებრივი და ვერც კერძო,—ძალმომრეობა. მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ავაზაკობის გავრცელება და გაძლიერება შესამჩნევად ხელისშემშლელია განმათავისუფლებელ მოძრაობისთვის. ამ მოძრაობას ესაჭიროება საზოგადოების ყველა წრეთა ერთსულოვნობა, ხოლო ავაზაკობა აშინებს განსაკუთრებით ბურჟუაზიულ წრეებს და მთავრობისკენ ერეკება მფარველობის და დახმარების სათხოვნელად. ამგვარად, ახლა გაძლიერებული თარეში მძარცველებისა—გარდა იმისა, რომ ზნეობრივად დასაგმობია—მავნებელია პოლიტიკურადაც და ამიტომ მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სხვა და სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებმა, რომელნიც თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში ხალხის მეთაურნი და მებაირაღტრენი არიან. შარშან, როცა ხსენებული ორგანიზაციები საზოგადოებრივ ცხოვრებას მეთაურობდენ, საზოგადოების შავბნელი ძალები მიმალული იყვენ და თავს დასხმა და გაძარცვის მიზნით ჩადენილი მკვლელობა იშვიათ მოვლენას შეადგენდა. და ალბად დღესაც შეიძლება ამხრივ ცოტა რამ გაკეთდეს და მძარცველთა აღვირაშვებულობა ცოტათი აილაგმოს, თუ აღნიშნული ორგანიზაციები ამ გარემოებას საკმაო ყურადღებას მოაქცევენ და სხვა და სხვა ღონისძიებას მიიღებენ. X

კავკასიის ავტონომია თუ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიები?

წინა წერილში ჩვენ ვთქვით ამიერ კავკასიის საერთო სეიმში ერთად თავს მოიყრიან კონსერვატიულ-კლერიკალური მაჰმადიანები, ბურჟუაზიულ-ლიბერალური სომხები და რადიკალი ქართველები. ჩვენ, რასაკვირველია, იმას არ ვამტკიცებთ, რომ ყველა მაჰმადიანები უეჭველად კლერიკალები იქნებიან, სომხები—ზომიერი ლიბერალები და ქართველები—რადიკალები, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ კულტურულ, ეკონომიურ, უფლებრივ და სარწმუნოებრივ პირობების ზედგავლენით ყველა ზემოხსენებული ერი უმეტეს ნაწილად აირჩევს ისეთ წარმომადგენლებს, რომელნიც გამომხატველნი იქნებიან ზემოაღნიშნულ სოციალ-პოლიტიკურ მიმართულებისა. თუ როგორ წავა დემოკრატიის საქმე ასეთ სეიმში, როგორი გამომხატველი იქნება ასეთი სეიმი ხალხის ინტერესებისა,—ყველასთვის ადვილი გასაგებია.

მაგრამ ავიღოთ ისევ კონკრეტული მაგალითები. მომავალმა სეიმმა უნდა გადასწყვიტოს აგრარული საკითხი, რომელიც ამ ჟამად რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში გასატარებელ რეფორმების ქვაკუთხედს შეადგენს. სათათბიროში უმეტესობა იმაზრისაა, რომ ცენტრმა მხოლოდ საზოგადო პრინციპები უნდა დაადგინოს, ხოლო მისი დაწვრილებით შემუშავება და განხორციელება მიენდოს ადგილობრივ დაწესებულებებს. ამიერ კავკასიაში საადგილ-მამულო საკითხის მოგვარება მიენდობა ამიერ კავკასიის საერთო სეიმს. მაგრამ ერთი ვიკითხოთ, შესძლებს ეს სეიმი შესაფერად მის გადაწყვეტას? ვერ შესძლებს და აი რატომ. საზოგადოდ მთელი რუსეთი რთული კონგლომერატია საადგილ-მამულო მფლობელობისა და მიწით სარგებლობის სხვა და სხვა ფორმებისა, ხოლო პატარა ამიერ-კავკასია ამ ფორმების მრავალფეროვნებით და სხვა და სხვაობით იგივე რუსეთია პატარა მასშტაბით. აქ ერთ პატარა გუბერნიაში და ზოგჯერ მაზრაშიაც შეხვდებით მსხვილ მიწათმფლობელობასაც და წვრილ მეურნეობასაც, თემსაც და ხიზანსაც, მონადელე გლეხებსაც და გადმოსახლებულ სახაზინო გლეხებსაც. ასეთი არეულ-დარეული ფორმები მიწათმფლობელობისა და ჭრელი პირობები მიწით სარგებლობისა ძალიან ართულებს და აძნელებს აგრარულ საკითხის გადაწყვეტას. კახეთისა და დასავლეთ საქართველოს გარდა ყველგან შედარებით მსხვილი მიწათმფლობელობაა, მაშასადამე, ამ ორ პროვინციის გარდა სხვა პროვინციების წარმომადგენლნი, ან თვითონ მემამულენი, მედგარ წინააღმდეგობას გაუწევენ ცოტად თუ ბევრად რადიკალურ აგრარულ რეფორმას. მათი რეფორმა იქნება მხოლოდ საგლეხო ბანკების დაარსება, რაიც ხელსაყრელი ისევ მემამულეთათვის. შუა რუსეთში საგლეხო ბანკების დაარსება-განვითარებისა და მოქმედების ისტორია ცხადად ამტკიცებს, რომ ასეთ ბანკებით უფრო მემამულეებმა ისარგებლეს, ვიდრე გლეხებმა, რომელთაც არა ერთი და ორი ზედმეტი მილიონი გადაუხადეს მემამულეთ. ამიერ კავკასიის საერთო სეიმში ძალთა ურთიერთობა ისეთი იქნება, რომ აგრარული საკითხი ან სავსებით მემამულეთა სასარგებლოდ გადაწყდება, ან იმდენად მცირე და უმნიშვნელო იქნება საადგილ-მამულო რეფორმა, რომ მცირე მამულიან გლეხობას ოდნავად ვგრ გამოიყვანს გაჭირვებულ მდგომარეობიდან. ახლა გადმოიტანეთ ეს საკითხი საქართველოს სეიმში, ასწონ-დასწონეთ საქართველოს ეკონომიურ და საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობა და დარწმუნდებით, რომ აქ სურათი შესამჩნევად იცვლება. ამიერკავკასიის საერთო სეიმში აგრარულ საკითხის რადიკალურ რეფორმის მომხრენი შეადგენენ უმცირესობას, საქართველოს სეიმში კი უმრავლესობას, რადგან აქ რიცხვი და ძალა მსხვილ მემამულეებისა მეტად მცირე და უმნიშვნელოა.

ეხლა ავიღოთ თუნდ ქალთა საკითხი. მაშინ, როდესაც ქართველი ქალი ქართველ მამაკაცის თვალში სრულ უფლებიანი მოქალაქეა, მაჰმადიანი ქალი მონა და ყმა არის მამაკაცისა. მას ჯერ ჩადრის მოხდაც ვერ გაუბედნია, ის დაბალ არსებად ითვლება და მაჰმადიან მამაკაცისთვის წარმოუდგენელია, რომ ის და მისი მეუღლე თანასწორნი იყვენ მოქალაქობრივ უფლებებით. ცხადია, როგორ გადასწყვეტენ ამ საკითხს ამიერ-კავკასიისა და საქართველოს სეიმები.

ავიღოთ მესამე მაგალითი. ვთქვათ, ამიერ კავკასიის საერთო სეიმმა გადასწყვიტა რამდენიმე რკინის გზის გაყვანა კახეთში, იმერეთში და მაჰმადიანების პროვინციაში, მაგრამ გარემოებანებას არ აძლევს ერთ და იმავე დროს ყველა გზების გაყვანისას. როგორ მოიქცევა სეიმი? რომელ გზას გაიყვანს ადრე, კახეთისას თუ ნახიჩევანისას? რასაკვირველია, მეორეს. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ უბრალო ხმის უმეტესობით სეიმში სრულიად უარჰყონ საქართველოსთვის ბევრი სხვა საჭირო ღონისძიებაც ასეთ მაგალითების მოყვანა ათასობით შეიძლება.

ცხადია, რომ ყოველ მნიშვნელოვან და უმნიშვნელო საქმეში, ყოველ ნაბიჯში და ყოველ საკითხში ამიერ კავკასიის სეიმი, რომელიც —, ერთხელ კიდევ ვიმეორებ, — არსებითად კონსერვატიული იქნება, ეცდება ხალხის სურვილებს ბორკილი დაადოს და ცხოვრების მიმდინარეობას წინ მაღალ კედლად აღუდგეს. ყველა, ვინც ამიერკავკასიის ავტონომიას ემხრობა და ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიებს უარჰყოფს, შეგნებულად თუ შეუგნებლად შედარებით კულტურულ და დაწინაურებულ საქართველოს ამიერ-კავკასიის ჩამორჩენილ ადგილებს უმორჩილებს, ფეხებზე ათ ფუთიან ბორკილს ადებს და შეუძლებლად ხდის მის თავისუფალ განვითარებას. ამაზე ხშირად ისმის ასეთი შეუწყნარებელი და უსაფუძვლო პასუხი: მართალია, მაჰმადიანები დღეს დღეობით ჩამორჩენილნი არიან, მაგრამ ადრე თუ გვიან ისინიც წინ წაიწევენ და კულტურულად განვითარდებიანო. ჩვენ მივუგებთ: მართალია, მაჰმადიანები ადრე თუ გვიან წინ წაიწევენ და განვითარდებიან, მაგრამ განა ამ პროცესის დროს საქართველო ერთ წერტილზე იქნება გაყინული? განა წინ წაწევა და განვითარება მას არ შეუძლიან? თუ მაჰმადიანები ერთ ნაბიჯს გადასდგამენ წინ, ქართველები ამავე დროს უკან არ დაიხევენ. მაშასადამე, თუ მათი განვითარების სისწრაფე ერთაირი იქნება, მაშ მათ შორის არსებული განსხვავებაც ერთი და იგივე უნდა დარჩეს. მაგრამ, თუ ვინმე მოუხერხებელს მოახერხებს და ცხად საბუთებით დაამტკიცებს, რომ მაჰმადიანთა განვითარების პროცესი უფრო სწრაფია ქართველების განვითარების პროცესზე, ეს მაინც ვერაფერი საბუთი იქნება, რადგან ცხადია, რომ სანამ მაჰმადიანები ასე სასურველად განვითარდებოდენ და წინ წაიწევდენ, მანამდის ჩვენი ხალხი ზემოხსენებულ ათფუთიან ბორკილით უნდა იყოს შებოჭილი და შეკრული.

როგორც ხედავთ, საზოგადოდ კავკასიისა და კერძოდ კავკასიაში მოსახლე ერებისათვის არას მხრით ხელსაყრელი არ არის ერთი საერთო ამიერ კავკასიის ავტონომია. მის მეოხებით კავკასიის ერები ერთმანეთს კრიჭაში ჩაუდგებიან და მხოლოდ ერთმანეთის წეწვას და შუღლს მოუნდებიან. ასეთი მუდმივი კინკლაობა შეუძლებლად ხდის კულტურულ, ეროვნულ და ეკონომიურ განვითარებას. ასეთი მდგომარეობა ხელსაყრელი არ არის უმცირესობისათვის—ქართველებისათვის და სომხებისათვის, მაგრამ არც მაჰმადიანებს მოუტანს სარგებლობას, რადგან ჩვენ, ასე თუ ისე, დიდ გავლენას ვიქონიებთ ისეთ საქმეების გადაწყვეტაზე, რომელნიც მხოლოდ მაჰმადიანებს შეეხებიან და მათი კულტურულ მდგომარეობის მიხედვით უნდა იქნენ გადაწყვეტილი.

წინადაც ვთქვით და ეხლაც ვიმეორებთ, რომ ამიერკავკასიის ავტონომია რუსეთის სახელმწიფო მართვა-გამგეობაში დეცენტრალიზაციას მოახდენს, მაგრამ ოდნავადაც არ ეხება ეროვნულ საკითხს. სოც.-დემოკრატიულ ლიტერატურაში ხშირად ამოიკითხავთ და თვითონ სოც.-დემოკრატებისგანაც ხშირად გაიგონებთ, ვითომ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია საშინლად ამწვავებდეს ეროვნულ შუღლს, ამიერ-კავკასიის ავტონომია კი ეროვნულ შუღლს ანელებსო. ასეთი უსაფუძვლო, ყალბი და უმეცრული საბუთი მხოლოდ უმეცარ ფილისტერს შეიყვანს შეცდომაში. ყურს უგდებ ასეთ აზრებს და არ იცი, რას მიაწერო ასეთი გადმობრუნებული და გადმოყირავებული წარმოდგენა ეროვნულ შუღლის მიზეზებზე და მის მომსპობ საშუალებებზე. ან სრული უმეცრებაა, ან განზრახ თვალის დახუჭვა სინამდვილეზე, ან პარტიულ დოგმის გაღმერთება.

ხშირად გაიგონებთ ჩვენებურ სერიოზულ სოც.-დემოკრატებისაგან, ვითომ ისინი ყველაზე უკეთესად იცავდენ ეროვნულ ინტერესებს და ამის დასამტკიცებლად თავიანთ პროგრამიდან მოჰყავთ ის მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ სოც. დემ. პარტია ენათა თავისუფლებას თხოულობსო. მოვაგონებთ ჩვენებურ სოც. დემოკრატებს, რომ ამ საკითხს რუსეთის სოც. დემ. პარტიის მეორე კრებაზე ორჯერ უყარეს კენჭი და „ენათა თავისუფლების“ მომხრენი პლეხანოვ-მარტოვ ლენინებმა ორჯერვე გააშავეს. ეს საკითხი მხოლოდ მესამე კენჭის ყრის შემდეგ გავიდა, ისიც ერთი ხმის უმეტესობით! მაგრამ ვთქვათ, ეს არაფერია. ერთი ვკითხოთ სოც. დემოკრატებს, სად და როდის მოითხოვეს მათ ეროვნულ თავისუფლებას მოსაპოებლად განთქმული „ენათა თავისუფლება“, უშინაარსო, უმნიშვნელო და ორპირი „ეროვნული თვითგამორკვევა“ და ის ბუნდოვანი „ფართო ოლქობრივი თვითმართველობა“ (ნეტა ვიცოდეთ, რით განირჩევა იგი ერობისაგან?), რომელიც ეროვნულ შუღლის მოსასპობად არის გამოგონილი. ჩვენ უკვე გავარჩიეთ და ვნახეთ მისი ძალა! ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ როგორ ანელებს იგი ეროვნულ შუღლს, თუ ვისთვის არის იგი ხელსაყრელი და როგორი შედეგი მოჰყვება ასეთ პოლიტიკურ ექსპერიმენტს.

ეხლა ვნახოთ, რა მოსაზრებით და რა საბუთებით უარჰყოფენ სოც. დემოკრატები საქართველოს ეროვნულ ტერიტორიულ ავტონომიას. ტრაბახობაში კი ნუ ჩამოგვართმევენ, მაგრამ წინდაწინვე უნდა განვაცხადოთ, რომ მათ არავითარი, ცოტათ თუ ბევრად სერიოზული, საბუთი არა აქვთ თავიანთ მოსაზრების დასამტკიცებლად. აქ ძალაუნებურად მაგონდება ბ-ნ ხატისოვის კითხვა და სოც. დემოკრატების პასუხი ტფილისის ამომრჩეველთა კრებაზე. ხატისოვმა განაცხადა: ავტონომისტ-ფედერალისტები აუარებელ მეცნიერულ საბუთებით იცავენ საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას, რომელსაც უარჰყოფთ თქვენ, სოც. დემოკრატები, რომელთაც დღემდის ერთი მეცნიერული საბუთიც ვერ წამოგიყენებიათ თქვენი აზრის დასამტკიცებლადო. დასასრულ ხატისოვმა მეცნიერული საბუთები მოითხოვა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. ან კი რას მიიღებდა, როცა სოც. დემოკრატებს ასეთი საბუთები არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ. მაგრამ ისევ საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას დავუბრუნდეთ.

სოც.-დემოკრატები და მათთან ერთად სომეხთა ერთი ნაწილი ამტკიცებენ, ვითომ საქართველოს ავტონომია ეროვნულ შუღლს გაამწვავებს, რადგან ქართველები სხვა ერებს დასჩაგრავენო. ეხლავე უნდა მოვაგონოთ ჩვენ მოწინააღმდეგეთ და ერთხელ კიდევ გავიმეოროთ, რომ ჩვენებური ავტონომია სავსებით ვერ მოსპობს ეროვნულ დაჩაგვრას და ერთი ხელის დაკვრით ვერ განახორციელებს სოციალიზმს. ჩვენც კარგად ვიცით, რომ იმ დრომდის, სანამ არსებობს თანამედროვე კაპიტალისტური წარმოება, სანამ არსებობს ბურჟუაზიული სახელმწიფო, იმ დრომდის იქნება ეროვნული დაჩაგვრაც. მაგრამ საქმე იმაშია, როგორი მდგომარეობა არის ამ მხრივ ეხლა ცენტრალისტურ რუსეთში, და როგორი იქნება ავტონომიურ საქართველოში. ჩვენი მოწინააღმდეგენი ყოველთვის ივიწყებენ, რომ ავტონომიურ საქართველოში უმცირესობის მოქალაქობრივი, კულტურული და ეროვნული უფლებები დაცულ იქნება ძირითად კანონებით, რომელთაც, რომ კიდეც მოინდომოს, ვერ შესცვლის საქართველოს ავტონომიური სეიმი. ამ აზრის დამამტკიცებელი საბუთი ისევ ავ-

სტრიაში უნდა მოვძებნოთ. იქ ძირითადი კანონები არ უზრუნველჰყოფენ უმცირესობის მოქალაქობრივ, კულტურულ და ეროვნულ უფლებებს, რითაც მშვენივრად ისარგებლეს მადიარებმა, ჩეხებმა და პოლონელებმა. მათ ხელთ იგდეს თავიანთ ტერიტორიაზე დასახლებულ უმცირეს ერთა უფლებები და საქმე იქამდის მივიდა, რომ ჰუნგრეთში, სადაც 8 მილიონი მადიარია და 10 მილიონი სხვა და სხვა ერის ხალხი, ფაქტიურად 10 მილიონ ადამიანს საარჩევნო უფლებები არა აქვს. ჰუნგრეთის პარლამენტში არც ერთი სხვა ერის დეპუტატი არ მოიძებნება იმ მიზეზით, რომ უმცირესობის უფლებები უზრუნველ ყოფილი არ არის ძირითად კანონებით. ავსტრიის მთავრობა ცდილობს საქმის მოგვარებას და უმცირესობის ინტერესების დაცვას, მაგრამ ძალა მისკენ არ არის. ქართველები ვერ შესძლებენ სხვა ერების დაჩაგვრას ჯერ ერთი იმიტომ, რომ არ მოინდომებენ საქმეში ცენტრალურ მთავრობის ჩარევას, რაც მათ სასარგებლოდ არ გათავდება, და, მეორეც, იმიტომ, რომ ადგილობრივ ძალთა ურთიერთობა „ნაციონალიზმის“ მხარეზე არ იქნება. თუ ავტონომიურ საქართველოში სხვა ერების პროცენტს ქართველ სოციალისტურ და რადიკალურ ელემენტებს მივუმატებთ, ამ შეერთებიდან ისეთი ძალა გამოვა, რომელსაც ვერას დააკლებენ ქართველი ნაციონალისტები და უსუსური კაპიტალისტები*)

აქ თავისთავად იბადება ერთი კითხვა, რომელსაც გარეგნულად დიდი საწინააღმდეგო ძალა და სერიოზული საპასუხო ხასიათი აქვს. შეიძლება ვინმემ ასეთი მოსაზრება წამოაყენოს: რა საჭიროა საქართველოს ავტონომია, როცა ასეთივე საოპოზიციო ძალა (არა-რუსები, რომელნიც საერთოდ 50%-ს შეადგინენ და რუსი სოციალისტ-რადიკალები) თავისუფლად შეებრძოლება "რუს პატრიოტებსა" და ბურჟუაზიას, რომელიც ამიტომ ვერ შესძლებს სხვა ერების დაჩაგვრასო. გარეგნულად, ვიმეორებ, ეს სერიოზული საბუთია, მაგრამ ფაქტიურად იგი უნიადაგო და სიმართლეს მოკლებულია. ჯერ ერთი,—არა-რუსთა კავშირი არ წარმოადგენს ისეთს ორგანიულ ერთეულს და ძალას, რომ შესძლოს მჭიდროდ შეკავშირებულ რუსებთან ბრძოლა, და მეორეც,—დაჩაგრულ ერების წინაშე სდგას არა ორგანიული რუსეთი, როგორც ერი, არამედ რუსეთი, როგორც სახელმწიფო, როგორც ბიუროკრატიული ძალა, რომელიც არც ისე ადვილი დასამარცხებელია, როგორც ზოგიერთ უსინათლო პოლიტიკოსებს ჰგონიათ. ერთი ვიკითხოთ, სად არის ჩვენში ასეთი ძალა? ვინ გასწევს ავტონომიურ საქართველოში რუსეთის მძლავრ ბიუროკრატიის მაგივრობას? რით დაიმორჩილებს სუსტ ერებს ეს უხილავი ძალა? ჯარით, იარაღით, ზარბაზნებით? სად არის ეს ჯარი, იარაღი, ზარბაზნები და ტყვიის მტყორცნელები? არსად არ არის და არც შეიძლება, რომ ავტონომიურ საქართველოს მთავრობას ჰქონდეს იგი. ამის შემდეგ სასაცილოა იმის თქმა, ვითომ ავტონომიურ საქართველოში ქართველი უმრავლესობა შესძლებს ისე დასჩაგროს უმცირესობა, როგორც ამას სჩადის ცენტრალისტურ რუსეთის თავით ფეხებამდის იარაღში ჩამჯდარი ბიუროკრატია. ამიტომ ზემოხსენებული საბუთი საპნის უბრალო ბუშტია, სიტყვებით კოჭაობაა და სხვა არაფერი.

კიდევ ბევრ შესაშინებელ არაკებს იგონებენ ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიით „დაშინებული“ სოც.-დემოკრატები, სომეხი ბურჟუები, რუსი „პატრიოტები“ და ბიუროკრატები, მაგრამ, სამწუხაროდ, საგაზეთო წერილში შეუძლებელია ყველა მათ მიერ წამოყენებულ „საბუთების“ გარჩევა და ამ საბუთების უშინაარსობისა, სიმჩატისა და უსუსურობის გამომჟღავნება. მათი საუკეთესო მასწავლებელი და მსაჯული იქნება რეალური სინამდვილე, დრო და ულმობელი ცხოვრება, რომელიც, მათდა სამწუხაროდ, რუსეთის სოც.-დემოკ. პარტიის კრების გადაწყვეტილებას არ ემორჩილება და ყოველთვის იმ კალაპოტში არ მიმდინარეობს, რომელიც მას გაუთხარეს დოგმით თვალებახვეულმა და ვიწრო სექტანტურ ფარხმლით აღჭურვილმა მარქსისტებმა. მ. ხდ—ლი.

შენიშვნა

ყველასთვის ცხადია, რომ დღეს რუსეთის და კერძოდ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება დიდ ისტორიულ მომენტს განიცდის. თვითმპყრობელმა ბიუროკრატიამ უნებლიედ ქედი მოიხარა რევოლუციის წინაშე და „ბრძანა“ სათათბიროს მოწვევა. ჩვენ რომ ბიუროკრატიის გულკეთილობის ამბავი ვიცით, ის ხალხის სასარგებლოდ, რასაკვირველია, არაფერს გააკეთებდა, მაგრამ ერთის მხრით რუსის ხალხის მშრომელმა ნაწილმა და, მეორე მხრით, რუსეთის იმპერიის ფარგალში მცხოვრებ დაჩაგრულ ერთა უმეტესობამ (პოლონელები, ლატიშები, ებრაელები, ქართველები და სხვ.) შექმნეს რუსეთის დიდი რევოლუცია და მთავრობა დათმობის გზაზე დააყენეს იძულებით.

თუ სიმართლეს სწორედ შევხედავთ, გულზე ხელს დავიდებთ და სიმართლეს ისე ვიქმთ, მაშინ ყველასთვის აშკარა იქნება, რომ ბიუროკრატიული რეჟიმის სიმწვავეს რუსის მუშა ხალხზე უფრო უფრო ცხოველად გრძნობდენ დაჩაგრული ერები, ანუ „ინოროდცები“, როგორი სახელითაც მონათლა ესენი ბიუროკრატიამ. ეს ცხადია და, აი, მიტომაც ესენი უმთავრეს როლს თამაშობდენ რუსეთის რევოლუციაში და რეპრესიების სიმწვავეც ამათ უფრო მოხვდათ.

ეროვნული დევნა, შევიწროვება, ფეხ ქვეშ გათელვა ადამიანის ეროვნულ უფლებათა, გმობა და შეურაცხყოფა სიტყვითა და საქმით ადამიანის ენის, ზნე-ჩვეულების, წარსულის, მის შინაურ და საოჯახო საქმეებში ხელის ფათური, არარად შერაცხვა მისი ადამიანობის ყოველგვარ სიმწვავესა და დამცირებაზე უფრო აუტანელია. ვისაც ცოტაოდენი თავმოყვარეობა მაინც შერჩენია, იგი ვერ შეურიგდება ეროვნულ დამცირებას, არა თუ ის, ვინც იბრძვის ადამიანის სრულ და ყოველ მხრივ თავისუფლებათა მოსაპოვებლად.

მართალია, ჩვენში არიან ერთგვარი ჯურის ადამიანები, რომლებიც აცხადებენ, რომ ეროვნული საკითხი ბურჟუაზიული საკითხია და არა პროლეტარულიო, მაგრამ არც ერთს ჭეშმარიტ და შეგნებულ დემოკრატს, თუ გინდ ის იმავე დროს სოციალისტიც იყოს, ნება არა აქვს გვერდი აუხვიოს და არ ემსახუროს ადამიანის ყოველ მხრივ განთავისუფლების საქმეს. დემოკრატია, როგორც ასეთი, წინააღმდეგია ხალხის (დემოსის) ჩაგვრისა და, მაშასადამე, როგორ შეუძლია არ იყოს წინააღმდეგი ეროვნულ ჩაგვრისაც?!.

*) ასეთ საწინააღმდეგო ძალის გასაძლიერებლად, ჩვენის აზრით, უმცირესობისთვის სასარგებლო იქნება, თუ ბორჩალოსი, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები, სადაც უმრავლესობა არა ქართველებს ეკუთვნის, შეუერთდებიან ავტონომიურ საქართველოს. მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტაში, სამართლიანობის პრინციპის ძალით, ჩვენ, ქართველები, გადამწყვეტ ხმას ვერ დავისაკუთრებთ. ეს საკითხი, როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ, უნდა გადასწყდეს ადგილობრივ პლებისციტით. ავტორი.

ვინ სთქვა, ვინ მოჰთრათ?—შემომიკურთხებენ ჩვენი „სოციალისტები და დემოკრატები“: ვინ გითხრათ, რომ ჩვენ ეროვნულ ჩაგვრის წინააღმდეგნი არა ვართო?—ვფიქრობ, რომ ხართ, თუმცა იმავე დროს ნეტარ ხსენებულ „მოგზაურიდან“ დაწყებული „სხივ-განთიად-ელვა-ლამპარში“ ეგევე ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგნი სულ სისაცილოდ იგდებენ ამ საკითხს, უკბილოდ ოხუნჯობენ მასზე და საქვეყნოდ აცხადებენ, რომ—კიდევ გავიმეორებ,—ეროვნული საკითხი ბურჟუაზიული საკითხიაო და ამას ჩვენი მტრები იმავეს იმეორებენ ხსენებულ დემოკრატიის გულმოდგინე აგენტები საქართველოს ყოველ კუთხეში. ხალხის დასანახად კი იგივე „დემოკრატები“ ავტორიტეტულად გვითითებენ თავიანთ პროგრამის ერთ-ერთ მუხლზე, სადაც ერს თვითგამორკვევის უფლება ეძლევა“.

ვაი ჩვენი ბრალი!.. პლეხანოვი და ლენინ-მარტოვი საზოგადოდ და კერძოდ ჩვენ ერს, რომელსაც ასი ათას წელზე მეტი უცხოვრია და დიდი ხანია გამორკვეული აქვს თავისი ეროვნული, ტერიტორიალური და სხვ. ვინაობა, მხოლოდ ახლა აძლევენ ისეთ უფლებას!.. ისტორიას უკუღმა ატრიალებენ, ან თავიდან იწყებენ! ასე რომ ვიაროთ, ესე იგი ახლა შევუდგეთ ჩვენს ეროვნულ თვით გამორკვევას, ვინ იცის, როცა ამ პროცესს დავასრულებთ, ახალი პლეხანოვი არ გამოჩნდება და თავის წინაპარივით (ე. ი. დღევანდელი პლეხანოვივით) არ ბრძანებს: „ჯერ თვით გამორკვევა გაკლიათო?..“ თვარა სამიოდ წლის წინად, 1903 წ. ჩვენებურ სოც.-დემოკრატთა პროგრამის მეორე მუხლი პირდაპირ ღაღადებდა რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას ფედერატულ პრინციპის თანახმად, სადაც თითოეულს რუსეთში მცხოვრებ ეროვნებას ფართო შინაური საკანონმდებლო დაწესებულება უნდა (ავტონომია) ჰქონებოდა.

ამ შემთხვევაში „რუსული“ მიმართულება პლეხანოვისა და ძმათა მისთა (შემინდეთ მე ცოდვილს!) ცხოვრებამ, რასაკვირველია, არ გაამართლა და, აი, ამ ბოლო დროს რუსულ სოც.-დემოკრატიულმა გამოცემებმა („ბორბა“, „ნაჩალო“) პირ და პირ აუცილებელ საჭიროებად აღიარეს რუსეთის ავტონომიურ ერთეულებად დაყოფა ეროვნებათა მიხედვით. გამოცხადება გემოცხადებად დარჩა და ჩვენმა სოც.-დემოკრატებმაც ყური მოიყრუეს ამ გამოცხადებაზე, ანგარიში არ გაუწიეს მას და მიაფუჩეჩეს იგი.

დღეს კი, როდესაც რუსეთის რევოლუცია, ჯერ-ჯერობით მაინც, ქუჩიდან სათათბიროში იქმნა გადატანილი და ჩვენი ხალხიც, საარჩევნო ფერხულში ჩაბმული, თავის წარმომადგენლებად, ნებსით თუ უნებლიედ, სოც.-დემოკრატებს ირჩევს, არც ერთს „ჩვენს“ დეპუტატთაგანს საქართველოს ავტონომიის საკითხის (როგორც ეროვნულ საკითხის) მიფუჩეჩება აღარ შეუძლიათ. მართალია, მათ, როგორც „პროლეტარიატის იდეოლოგებს“ სამშობლო არ უნდა სწამდეთ, რადგანაც, მათივე სიტყვით, „პროლეტარებს სამშობლო არა აქვთ“, მაგრამ ფრაზა ფრაზად რჩება და სინამდვილე კი იმას გვეუბნება, რომ იმ ხალხს, რომლებმაც მათ თავის სვე-ბედის შესახებ ლაპარაკი მიანდო სათათბიროში, რომელიც ასი წლის მონობის შემდეგ პირველად იღებს ხმას თავის სრულიად კანონიერ და ადამიანურ უფლებათა აღსადგენად, ამ ხალხს ვიმეორებ, სამშობლოცა აქვს და ისტორიაც. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამ პროლეტარიატის იდეოლოგთა ბ დღე „ჩვენისქვეყნის წარმომადგენელთა რიცხვში ურევიან ისეთებიც, რომელნიც პარტიულ დისციპლინის თუ სხვა რამ მოსაზრებით საქართველოს ავტონომიის საკითხში ორჭოფობდენ და თავიანთ ნამდვილ რწმენასა და სახეს მალავდენ (ერთი ამათგანი შილლერის პირით გვეუბნებოდი „ვაშა ეროვნულ დამოუკიდებლობასო“.); მაგრამ ამიერიდან ასეთი დამალვა აღარ შეიძლება. ერთსა და იმავე კითხვაზე ორგვარ პასუხის მიცემა ლოღიკის წინააღმდეგია. სათათბიროში ამათ საქართველოს ავტონომიის შესახებ პირ და პირ უნდა განაცხადონ „ჰო“, ან „არა“. პირველით ბევრს მოიგებენ, მეორეთი ბევრს წააგებენ. ყოველ შემთხვევაში ხალხი ნათლად დაინახავს როგორც მათს, ისე მთელი პარტიის ფიზიონომიას და ამ გაკვეთილს შემდეგში სახელმძღვანელოდ გამოიყენებს.

დ. ჭოლოყაშვილი.

სათათბირო და მინისტრები

ხალხის ნამდვილი და სრული გაბატონება სახელმწიფო საქმეების მართვასა და გამგეობაში შეუძლებელია იქ, სადაც სამინისტრო, ეს ყოველივე კანონების აღმასრულებელი დაწესებულება, თავის მოქმედებაში ხალხის წარმომადგენელთა წინაშე პასუხს არ აგებს. ხალხის წარმომადგენლობას და საკანონმდებლო კრებულს არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვთ, თუ მინისტრებს და მათ ხელქვეით მყოფ მოხელეებს ართმეული არ ექნათ უფლება, დაუსჯელად დაარღვიონ სახელმწიფოში არსებული ყოველი კანონი, დაარღვიონ ხალხის სურვილი, ხალხის წარმომადგენელთა ბრძანებას გადაუხვიონ. ასეთი სამინისტრო აღმასრულებელი დაწესებულება კი არა, სახელმწიფოს ნამდვილი ბატონია,—იგი თავის ნებაზე განაგებს ქვეყანას...

ამიტომ ყველგან, სადაც ხალხი ებრძვის თვითმპყრობელობას და წარმომადგენლობას ამყარებს, იგი ცდილობს, ერთის მხრივ ხელში ჩაიგდოს საკანონმდებლო უფლება და, მეორეს მხრივ კი, ხალხის საკანონმდებლო კრებულს დაუმორჩილოს აღმასრულებელი დაწესებულებაც. მართალია, აღმასულებელ ძალის სრული დამორჩილება არსად სასურველად მიჩნეული არ არის,—აღმასრულებელი კანონის ფარგალში თავისუფალი და დამოუკიდებელია, მაგრამ კანონის დარღვევისათვის კი ყოველი სახელმწიფო მოხელე პასუხს აგებს და პასუხს აგებს მის მაგიერად მისი უფროსი,—მინისტრიც, რომელსაც ხალხის წარმომადგენლები მის ხელქვევითის შემჩნეულ ბოროტ-მოქმედებაზე შეეკითხებიან და პასუხს მოსთხოვენ ხოლმე.

რუსეთში თვითმპყრობელმა მთავრობამ ნაძალადევად, ძალა-უნებურად მიანიჭა ხალხს წარმომადგენლობა და, რასაკვირველია, ეცადა ისეთი წარმომადგენლობა მიეცა, რომელიც წინეთ გაბატონებულ ჯგუფებს, ძველ მთავრობას სახელმწიფოში ყოველივე უფლებას შეურჩენდა. მოუწვევლობა არ შეიძლებოდა და ამიტომ განიზრახეს „სათათბიროს“ მოწვევა, ისეთ დაწესებულების, რომელიც მხოლოდ ითათბირებდა, თავის აზრს გამოსთქვამდა და სავალდებულოდ კი ვერაფერს ვერ გადასწყვეტავდა. ხალხმა ეს არ იკმარა, მეტი უფლება მოითხოვა და მთავრობამ ისევ დაუთმო ხალხს და სათათბიროს გადაწყვეტილებას საკანონმდებლო საქმეებში სავალდებულო ხასიათი მიანიჭა, თუმცა აქაც ეს გადაწყვეტილება ისეთ პირობებში ჩააყენა, რომ ნამდვილად ხალხის წარმომადგენლებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ რამე გადაწყვეტილებას დაადგენ და მხოლოდ იმ კითხვებში, როდესაც და სადაც ამას მოინდომებს მთავრობა. სხვათა შორის, ხალხის

წარმომადგენელთა უფლების შესამცირებლად, მეფემ გამოაცხადა, რომ სამინისტროს შემდეგშიაც თვითონ დანიშნავს და რომ მინისტრები მის წინაშე იქნებიან პასუხის მგებელნი და არა ხალხის წარმომადგენელთა წინაშე. მწერლობასა და საზოგადოებაში მაშინვე შენიშნეს ეს ხრიკი და მოითხოვეს „პასუხის მგებელი სამინისტრო,“ მაგრამ იმ დროს ხალხის სარევოლუციო ძალა უკვე მოდუნებული იყო და, პირველი სათათბიროს წევრები რომ შეიკრიბენ, მათ დაუხვდათ ის წესი, რომელიც მთავრობის უკანასკნელ მანიფესტით იყო შემოღებული,—სამინისტრო მთავრობის მეფის წინაშე პასუხისმგებელი...

ამ-ყოვლად უვარგის წესის შედეგიც მალე აშკარა შეიქმნა. სათათბიროს მოქმედების თითქმის პირველივე დღიდან ალმოჩნდა, რომ სამინისტროს წევრებს ხალხის წარმომადგენელთა გულის ტკივილი არ ესმით და ამიტომ არ უნდათ, მათ მოქმედებას ხელი შეუწყონ და მათ სურვილებს დაემორჩილონ. აშკარა იყო, რომ ამ ორ მოპირდაპირე ძალას შეტაკება უნდა მოსვლოდათ. შეტაკებისათვის ნიადაგი მზად იყო,—მთავრობის სეფესიტყვის საპასუხოდ ხალხის წარმომადგენლებმა თავისი სამოქმედო პროგრამა წარუდგინეს ხელმწიფეს და ამით საჯაროდ გამოაცხადეს, თუ რა გზას უნდა დაადგეს შემდეგში ყველა ის, ვინც ხალხის სურვილებს ემორჩილება.

მართლაც, ორი ბატონი ერთად სახელმწიფოში ვერ იქნება. შეიძლება, ბატონობა, ქვეყნის გამგეობა ჩაბარებული ჰქონდეს ორ დაწესებულებას,—მეფეს და სათათბიროს, მაგრამ იქ, სადაც ეს ორი დაწესებულება ერთმანეთში ვერ თანხმდება, ბოლოს ერთ რომელიმესი სურვილი უნდა იყოს სავალდებულო, -ან მეფის და ან სათათბიროსი. ამ მხრივ რუსეთის პირველი სათათბირო განსაკუთრებულ პირობებში მოწვეულია. მეფე ცდილობდა მისთვის რაც შეიძლება ნაკლები უფლება დაეთმო, ხალხს კი სურს, მეფეს რაც შეიძლება ნაკლები უფლება შერჩეს. რადგანაც რუსეთის წინანდელმა ვითარებამ და უკანასკნელმა ომიანობამ ნათლად დაუმტკიცეს ხალხს, რომ თვითმპყრობელობის მომხრეებს სახელმწიფო საქმეების რიგიანად და პატიოსნად გაძღოლა ვერ შესძლებიათ. ამიტომ, კანონით, მეფე სათათბიროზე უფრო მაღლა სდგას, ზნეობრივი გავლენა კი ხალხში სათათბიროს მეტი აქვს, ვიდრე ხელმწიფეს. ამიტომ ხელმწიფის, როგორც აღმასრულებელი ძალის, ყოველი წარმომადგენელი, მინისტრი იქნება იგი, თუ უბრალო მოხელე, იძულებულია სათათბიროს სურვილი თავისთვის სავალდებულოდ მიიჩნიოს, რომ ამნაირად ხალხში ნდობა და გავლენა მოიპოვოს.

ამიტომ სეფესიტყვის საპასუხო ადრესში გამოთქმული სურვილებიც მთავრობისთვის სავალდებულო უნდა გამხდარიყო ისევე, როგორც პოლიტიკური ამნისტიაც, რომელსაც ხალხი სათათბიროს გარეშეც ერთხმად და დაჟინებით ითხოვდა.

მაგრამ თვითმპყრობელობის გრძნობა და ჩვეულებები ისე მაგრად აქვს გამჯდარი მთავრობას, რომ მას ასეთი დამორჩილება დამცირებად მიაჩნია და მინისტრთა საბჭომ თავის დეკლარაციაში გამოაცხადა, სათათბიროს სურვილებს არ ვეთანხმებითო. ეს უარი ისეთის კილოთი იყო გამოთქმული, რომ ყველასთვის აშკარა შეიქნა კონფლიქტის აუცილებლობა.

ეს კონფლიქტი, აშკარა შეტაკება, მართლაც, მოხდა. სათათბირომ მინისტრებს თავისი აღშფოთება უძღვნა, სათათბიროს წევრებმა სასტიკად გაჰკიცხეს მინისტრები, უნდობლობა გამოუცხადეს და სამსახურიდან გადადგომა მოსთხოვეს. საბუთიც ჰქონდათ: მინისტრები არამც თუ არ ეთანხმებიან სათათბიროს სამოქმედო პროგრამას, თავის მოქმედებით პირდაპირ ამტკიცებენ, რომ მათთვის რუსეთში სათათბიროს მოწვევით არაფერი არ შეცვლილა. განსაკუთრებით კი არ შეცვლილა ადამიანის სიცოცხლის ფასი და მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობა. წინანდელი საშინელი სისასტიკე, დაუნდობლობა და თვითნებობა სათათბიროს მოწვევის შემდეგაც არ შეწყვეტილა და უდანაშაულოდ დასჯილ ადამიანთა სისხლი ხმა მაღლა ღაღადებდა იმას, რომ მინისტრები თვითმპყრობელურ საქმიანობას ვერ ასცდებიან.

მინისტრებმა სათათბიროსაგან უნდობლობის გამოცხადებას არავითარი ყურადღება არ მიაქციეს... სათათბიროს წევრებმა ათასნაირ შეურაცხყოფით სცადეს მათი ადგილიდან დანძრევა, მაგრამ ამ ცდამაც უნაყოფოდ ჩაიარა... სათათბიროს წევრებმაც გამოაცხადეს, მამულის, სამშობლოს სიყვარული თუ გაქვთ, ნუ გაამწვავებთ საქმეს და, რაკი ჩვენ, როგორც ხალხის კანონიერ წარმომადგენლებს, არ გვეთანხმებით, დროით ჩამოგვშორდითო. მაგრამ სად აქვთ სამშობლოს სიყვარული იმათ, ვინც ხალხის უმანკო სისხლის დაქცევას არ უშინდება!

ამნაირად დღეს სათათბირო და სამინისტრო ერთმანეთის აშკარა მტრებად არიან. სათათბიროს ყოველ ფეხის გადადგმაზე წინ გადაეღობება სამინისტრო, სათათბიროს ყოველი სურვილი უნდა განახორციელოს იმ მინისტრებმა, რომელთაც თავის ქცევით პირდაპირ გამოაცხადეს, რომ მათ სათათბიროსი არავითარი პატივისცემა არა აქვთ, რომ მათ თვალში სათათბირო „ხელმწიფის წინააღმდეგი და ბოროტმოქმედების ჩამდენი“ არის ..

ხელმწიფე ამ მინისტრების ზურგს უკან ამოფარებულია. იგი სდუმს; მაგრამ მისი სიჩუმე და მინისტრების სამსახურში დატოვება აშკარად ამტკიცებს, თუ საითკენ მიიწევს მისი გული, ამ დახავსებულ და ხალხის მჩაგვრელ ბიუროკრატებისკენ, თუ ხალხისაკენ,—ხალხის სურვილების აღმასრულებლად მიაჩნია მას თავი, თუ უნდა, ისევ ძველებურად იბატონოს ხალხზე და ხალხის ყოველი თავისუფალი სიტყვა და აზრი სამუდამოდ დაახშოს...

მათი დახშობა შეიძლებოდა წინეთ, ახლა გვიან არის. ხალხი გაიზარდა და მისი სურვილი ბოლოს და ბოლოს სავალდებულოა თვით ხელმწიფისთვინაც. ხალხის სურვილმა ხელმწიფეს გამოაცემინა ყველა ის „დათმობის მანიფესტები“ რომელიც ახლანდელ სათათბიროს საფუძვლად დაედო; ხალხის სურვილმა ჩამოაშორა მთავრობას ვიტტე-დურნოვო, თუმცა მაშინ ამ სურვილის ოფიციალურად გამომთქმელი სათათბირო ჯერ შეკრებილი არ იყო. ხალხის სურვილი გადააყენებს გორემიკინსაც, თუ კი სათათბიროს სიტყვას მხარს დაუჭერს საზოგადოება და მასთან ერთად გარკვევით და გაბედულად მოითხოვს მინისტრობიდან ხალხის მოწინააღმდეგეთა გადადგომას...

ქ. ს.

პატარა კაცის პატარა ფიქრები.

ამ ორიოდე თვის წინად ერთი განათლებული, განვითარებული და დიდი ცოდნით აღჭურვილი პოლონელი გავიცანი. სულ რამოდენიმე თვეა, რაც ტფილისში ჩამოვიდა, მაგრამ ამ მოკლე ხანში იმდენად შეისწავლა ქართული ენა, რომ უკვე გაზეთებს კითხულობს; მოიარა ნახევარი საქართველო

სომხეთი, დაათვალიერა ჩვენი დაწესებულებანი, მუზეუმები, თეატრები, ციხე-მონასტრები, გამოემცნაურა ჩვენებურ პარტიულ ბელადებს და ბოლოს ასეთი დასკვნა გამოიტანა: თქვენ, როგორც ერი, მეტად სახიფათო მდგომარეობაში ხართ ჩავარდნილიო. უწინ თქვენ საკუთარი კულტურა გქონიათ, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში თქვენი კულტურა დაამარცხა რუსეთიდან შემოსულმა კულტურამ, რომელმაც სავსებით დაგიმონათ, დაგიმორჩილათ და ძირიან-ფესვიანად გადაგაკეთათ. მე, რასაკვირველია, ვერ გირჩევთ უწინდელ ეროვნულ კულტურის აღდგენას, რადგან ეს შეუძლებელია და საჭიროც არ არის, მაგრამ იმას კი გეტყვით, რომ საკუთარ კულტურის უქონლობა პირველი ნიშანია ერის გადაშენებისა. არც ის ვიცი, მოახერხებთ თუ არა შემდეგში საკუთარ კულტურის შექმნას, მაგრამ ის კი ცხადია, რომ დღეს დღეობით თქვენი ერი გადაშენების გზას ადგია. ერის არსებობისა და მის განვითარების აუცილებელ პირობას შეადგენს ენა, ლიტერატურა, ხელოვნება და ვაჭრობა-მრეწველობა. მე თვითონ პოლონელი ვარ და ზედმიწევნით ვიცნობ ჩემს ერს; დამივლია და შემისწავლია ბოჰემია, ირლანდია, ფინლანდია და სხვა პატარა ერები, მაგრამ არსად არ შემხვედრია ის საოცარი მოვლენა, რომელსაც საქართველოში ვხედავ. შინ, გარეთ, კრებებზე, თეატრში, გზაში და თითქმის ყველგან მხოლოდ რუსული ენა მესმის. თუ ქართულად დაილაპარაკებს ვინმე, ისიც ან გლეხი ან მუშა, ინტელიგენცია კი ქართულ ლაპარაკს გადასჩვევია. არ მესმის, რათ თხოულობთ ენათა თანასწორობას, თუ კრებებზე და თეატრებში, სადაც სრული უფლება გაქვთ ქართულად ილაპარაკოთ, მხოლოდ რუსულ ენას ხმარობთ. მე მესმის, როცა პოლონელი იბრძვის ენის თავისუფლებისთვის. იმის ენას სდევნიან ყველგან: სკოლებში, კრებებზე, ქუჩაში და ეკლესიაშიაც, მაგრამ არ მესმის ქართველების ჩივილი, იმ ქართველებისა, რომელთაც არშეუძლიანთ ან არ უნდათ თავის ბუნებრივ უფლებებით ისარგებლონ. აიღეთ ქართული პრესსა და ლიტერატურა. ჯერ ერთი, საკვირველი ის არის, რომ სამი ყოველდღიური გაზეთი გაქვთ და სამივე სოციალისტურ მიმართულებისა. ეს რაღაც ანორმალური, არაბუნებრივი მოვლენაა ჩვენს დროში. მაგრამ ამას კიდევ არა უშავს რა. ქართველებს სამი რუსული გაზეთი აქვთ! ეს იმას ამტკიცებს, რომ ქართველ მკითხველის ნახევარს რუსულად უფრო ეხერხება ლაპარაკი და წერა-კითხვა, ვიდრე ქართულად. ესეც გადაშენების ნიშანია და თქვენი ჟურნალისტებიც ხელს უწყობენ ამ გადაშენებას. ეხლა აიღეთ ქართულ ჟურნალ-გაზეთების შინაარსი. რაზე სწერენ, რას ქადაგობენ, რას აწვდიან მკითხველს? მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ცხოვრებიდან ამოღებულ მასალას. მეთაურს აიღებთ—იქ უეჭველად რუსეთის შინაურ პოლიტიკაზე ან სათათბიროზეა ლაპარაკი; ფელეტონს აიღებთ,—იქაც ან რუსეთის ცხოვრებაა აწერილი, ან პარტიულ პროგრამების გარჩევაა, ან განყენებულ თეორიის პოპულარიზაციაა. გაზეთის მესამედი დეპეშებით არის სავსე. დარჩა უფერული ახალი ამბები. იქაც ქუჩურ ქრონიკისა და წვრილ-წვრილ ამბების გარდა არაფერია. თუ სადმე გამოსძებნით ორიგინალურ წერილს ადგილობრივ თემაზე, იქ ხომ უეჭველად პარტიული კამათი და ერთმანეთის უშვერი ლანძღვა-გინება უნდა იყოს. ჩემის აზრით თქვენებურ გაზეთებს რომ დავარქვა ქართულ ენაზე დაწერილი რუსული გაზეთები, ეს მათი საუკეთესო დახასიათება იქნება. თქვენი სიტყვა-კაზმული ლიტერატურა მხოლოდ თარგმანებით არის სავსე. არა გყავთ არც ორგინალური დრამატურგები, არც მეცნიერნი, არც ისტორიკოსები, არც მხატვრები და არც მექანდაკენი. სამშობლო ენაზე ქართველს არ შეუძლიან რისამე შესწავლა, განვითარება და ცოდნის შეძენა. აქედან ცხადია, რომ თქვენი ადგილობრივი ცხოვრება მიყუჩებულია. მკვდარია. იგი არ იძლევა საკმაო მასალას და ამიტომ თქვენი ჟურნალ გაზეთებიც, მოსწავლე ახალგაზდობაც და ინტელიგენციაც იძულებულია გონებრივი მასალა საქართველოს გარეშე ეძებოს. ამ მასალას პოულობთ მხოლოდ რუსეთში, რუსულ ლიტერატურაში, რუსულ ცხოვრებაში და რუსულ კულტურაში, რომელიც ასი წლის განმავლობაში ერთად-ერთი საკვები წყარო იყო თქვენი ცხოვრებისთვის. ჩემის აზრით, თქვენი შველა და ხსნა შეუძლიან მხოლოდ საკუთარ კულტურის შექმნას, საქართველოში ზემოხსენებულ წყაროს გაჩენას, ადგილობრივ ცხოვრების შექმნას. მაგრამ ვინ უნდა შეჰქმნას ეს კულტურა, ეს წყარო ეს ადგილობრივი ცხოვრება? მას ვერ შეჰქმნის ვერც თქვენი გამოფიტული თავად-აზნაურობა, ვერც თქვენი რადიკალური ინტელიგენცია და ვერც სოციალისტური მუშა ხალხი. არა მგონია მოიძებნოს სადმე ცოტად თუ ბევრად შეგნებული კაცი, რომელმაც არ აღიაროს, რომ თანამედროვე კულტურას აშენებს და ჰქმნის მხოლოდ მესამე ელემენტის განვითარება, მხოლოდ ვაჭრობა და მრეწველობა. ამ დაძველებულ და დაჟანგებულ ეგშმარიტებას უარს ვერა ჰყოფს ვერც უკიდურესი არხი-სოციალისტი, ვერც ფეოდალურ ტრადიციებით გაჟღენთილი თავადი და ვერც ქარხნის მუშა, რომელიც გულწრფელად დარწმუნებულია, რომ ეროვნულ კულტურას მხოლოდ ის ჰქმნის. შორიდან მე არ მესმოდა მიზეზი ქართველების რადიკალობისა. დღემდის მთელი რუსეთი დარწმუნებული იყო, რომ ქართველი ერი გაუნათლებელი და ჩამორჩენილია. ეხლა კი ყველა ამტკიცებს, რომ ქართველები გამანთავისუფლებელ მოძრაობის სათავეში სდგანან, რადგან ისინი მეტად განათლებულნი არიან და კულტურულად მაღლა სდგანანო. მე კი ვხედავ, რომ ქართველების რადიკალობის მიზეზი მათი კულტურა კი არ ყოფილა, არამედ უკულტურობა. ეს თქვენ პარადოქსად მიგაჩნიათ, მაგრამ ღრმად ჩაუკვირდით ჩემ სიტყვებს და დაინახავთ, რომ მე მართალი ვარ. ერთხელ კიდევ ვიმეორებ: ისეთი ერთსულოვანი გატაცება სოციალურ იდეებით, როგორც ქართველებმა გამოიჩინეს, დასაწყისი და დასაგმობი არ არის, მაგრამ მეოცე საუკუნის დასაწყისში ეს მოვლენა მხოლოდ საქართველოს ანორმალურ მდგომარეობას ამტკიცებს.

მე პოლონელის აზრების გარჩევას არ ვაპირობ და არც ის ვიცი, მართლა ანორმალურია თუ არა ქართველ ერის გატაცება სოციალისტურ და რადიკალურ იდეებით, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ჩვენში პარტიული ბრძოლა და ცხოვრება მართლა ანორმალურ კალაპოტში ჩადგა. საღი გონება დოგმამ დაიმორჩილა, თავისუფალი ინდივიდუმი პარტიულმა თვითმპყრობელობამ გასრისა, მიუდგომელი კრიტიკა ვიწრო სექტანტობამ განდევნა, ხოლო ობიექტიური მეცნიერებელობა ცხოვრებისა და სინამდვილისა გამოცხადებულ იქმნა უმეცრებად, უპრინციპობად და ხალხის ღალატად. ყველანი ჯგუფ ჯგუფად დაიყვნენ, ყველანი პოლკებად დარაზმდენ, ბელადები ამოირჩიეს და საშინელი ბრძოლა ასტეხეს. მთავარ საბრძოლველ იარაღად აღიარებულ იქმნა ავლაბრული ლანძღვა-გინება, ბაზრული ჭორი, განზრახ შეთხზული ცილისწამება, ინსინუაცია და ორი „საშინელი“ სიტყვა: „ნაცი-

ონალისტი“ და „ბურჟუა“. ამ ორ სიტყვის გარშემო ტრიალებს მთელი ჩვენი შინაური ცხოვრება, ხალხში შეგნების გავრცელება, აზროვნება, პრესსა და კულტურული მუშაობა. ეს ორი სიტყვა გადიქცა საფრთხობელად, მუქარად, შეურაცხყოფად ან ამა თუ იმ პირისა და საქციელის დამახასიათებელ ტერმინად. ყველამ დაჰკარგა თავისი „მე“, თავისი გზა, საკუთარი აზროვნება და ორიგინალობა. ისე ხმას ვერავინ ამოიღებს რომ მაშინვე შუბლზე არ მიაკრან იარლიკი, რომელზედაც სწერია „საშინელი“ სიტყვები: „ბურჟუა და ნაციონალისტი“. ხალხს ერთმანეთისა აღარა ესმის რა, ერთმანეთს ყურს აღარ უგდებენ, ერთმანეთისადმი უზომო უნდობლობით და იჭვით არიან გაჟღენთილი. ყველა, ვინც უკანასკნელ ხანებში თვალ-ყურს ადევნებდა ქართულ ჟურნალ-გაზეთობას, ვინც ობიექტიურ თვალთა ხედვის ისრით უყურებდა არჩევნების მიმდინარეობას, პარტიების ბრძოლას და საზოგადოებრივ ცხოვრებას, ყველა, ვინც ამას ზევიდან დასცქეროდა და ყოველ მოვლენას საკუთარის უპარტიო საზომით ზომავდა, ნათლად ხედავდა, რომ ჩვენში რაღაც უცნობი ნიაღვარი შემოვარდა, რომელმაც მთლად წალეკა საღი გონება, დინჯური მიუდგომლობა, ანბანური ჭეშმარიტება და სულ უბრალო ლოღიკაც. ამ ნიაღვარს ჰქვიან „პარტია“, „პარტიული ეთიკა“, „პარტიული ბრძოლა“, „პარტიული დისციპლინა“ და „პარტიული ინტერესები“. მე მესმის კლასიური ეთიკა, მაგრამ არ მესმის პარტიული ეთიკა, მე მესმის კლასიური ბრძოლა, მაგრამ არ მესმის უაზრო და სულელური პარტიული ბრძოლა, მესმის ეროვნული ან კლასიური ინტერესები, მაგრამ არ მესმის და ვერ გამიგია პარტიული ინტერესები. ხვალ რომ ვინმემ გამოაცხადოს, ქიმია ორგვარია: სოც. დემოკრატიული და ბურჟუაზიული, რომ მათემატიკა სამგვარია: სოც. დემოკრატული, ნაციონალისტური და კლერიკალური, რომ ბოტანიკაც ორნაირია: მატერიალისტური და იდეალისტური — პირადად მე არ გამიკვირდება და იძულებული ვიქნები ეს ახალი მოძღვრება აუცილობელ ჭეშმარიტებად და უმწიკვლო სიმართლედ ვაღიარო.

დიახ, ძალაუნებურად უნდა ვაღიარო, თორემ ისედაც ათასგვარ იარლიკებში გახვეულს (ეხლა ყველა ჩვენგანი განცხადებების კიოსკს ჰგავს) ახალ საშინელ იარლიკს მომაკრავენ.

***

ხუმრობა იქით იყოს და ის კი მართალია, რომ დღეს თუ ხვალ „მოღალატე“ კადეტები, „ნაციონალისტ-ბურჟუაზიული“ ფედერალისტები, „პსიხოპატი“ ანარქისტები და „დანოსჩიკი“ სოც. დემოკრატები ერთმანეთს დაერევიან. ყველანი — კადეტებიც, ფედერალისტებიც, მარქსისტებიც და ანარქისტებიც ერთმანეთის თვალში მოღალატეებად, გამყიდველებად, ჯაშუშებად და შეშლილებად გადაიქცენ. უნდობლობისა და იჭვიანობის ნიადაგი დიდი ხანია მზადდებოდა. შარშან სამეურნეო საზოგადოების კრებაზე განსვენებულ „მოგზაურის“ რედაქტორმა ფ. მახარაძემ დიდის ამბით გამოაცხადა თავისი ახალი გენიოსური აღმოჩენა და ბრწყინვალედ დაამტკიცა, რომ ავტონომისტ-ფედერალისტებს უნდათ საქართველოში ბატონ-ყმობის აღდგენა, ეკლესიის გამეფება და ხალხის ჩაგდება გენერალ-გუბერნატორების ხელში. სოც.-დემოკრატი პროპაგანდისტებიც ამას იმეორებდენ და არც პრესსა ამბობდა ამაზე უარს. საქმე იქამდის მივიდა, რომ შარშან დიდუბეში ვიღაც „სოც.-დემოკრატმა“ ფედერალისტ ასათიანს სცემა, რადგან ასათიანი „ბატონ-ყმობის აღდგენას“ აპირობდა. სოხუმში სოც.-დემოკრატებმა ერთ ფედერალისტს—ას სცემეს, რადგან ეს ფედერალისტი სოხუმის ოლქში „სამხედრო წესების შემოღებას აპირობდა“. ბათუმის მახლობლად რომელიღაც სადგურზე სოც.-დემოკრატებმა დააპატიმრეს და ბარიკადებით გახლართულ ბათუმში არ შეუშვეს ორი ფედერალისტი, რომელთაც იარაღი მიჰქონდათ... „ალბად მთავრობისთვის“. ამ ერთი კვირის წინად ამომრჩეველთა წინაშე სოც.-დემოკრატების (და არა ქუთაისის გუბერნიის) დეპუტატმა ის. რამიშვილმა ისე გამოიყვანა თავის სიტყვაში, ვითომ 15 წლის წინად ქუთაისში ფედერალისტებმა აიკლეს ებრაელები. ამას ამბობენ ჩვენ თვალწინ სხვა სოციალურ დ რადიკალურ პარტიებზე სოც.-დემოკრატების აგიტატორები დ პროპაგანდისტები, ხოლო რას იტყვიან ზურგს უკან, — ამის წარმოდგენაც კი ძნელია. პრესსა, აგიტატორები, პროპაგანდისტები და პარტიის იდეოლოგები ცილის წამებაში და ლანძღვა-გინებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდენ. ათიოდე დღის წინად „ლამპარმა“ მთელ ქვეყანას აუწყა, ვითომ ანარქისტები ხალხს სძარცვავენ, ფედერალისტები დანა-ჩანგლებს იტაცებენ, ხოლო სოც.-დემოკრატები ამას იქით ხელს იბანენ და ერთხელ კიდევ აცხადებენ, რომ ისინი არავისგან არ ღებულობენ „შემოწირულებას“. ბრალდებულებმა ხმა ამოიღეს. ანარქისტებმა „ლამპარს“ „დანოსჩიკი“ უწოდეს, „შრომამ“ კი ზრდილობიანად ამ საქციელს უსინდისობა დაარქვა და ბოლოს მაინც იმედი გამოსთქვა, რომ ამაში პარტიას წილი არ უდევს და ყველაფერი „ლამპრის“ რედაქციის ბრალი იქნებაო. „ლამპარი“ განრისხდა; ანარქისტები საგიჟეთში გაგზავნა, ხოლო „შრომა“ ყირამალა გადააგდო ლანძღვა-გინების მორევში და დამშვიდდა.

არ ვიცი, როდის დაერევიან ერთმანეთს ანარქისტ-ფედერალისტ-მარქსისტები, მაგრამ ის კი ცხადია, რომ საამისო ნიადაგი დიდის ენერგიითა და თავგამოდებით მზადდება. ქალაქში ხმა დადის, ვითომ ვიღაცები მისულან რომელიღაც რედაქციაში და ვიღაც ჟურნალისტები დუელში გამოუწვევიათ, მაგრამ, რადგან ჟურნალისტები პრინციპიალურად წინააღმდეგნი ყოფილან იარაღით ჭეშმარიტების გამორკვევისა, ამიტომ „ვიღაცეების“ სისხლი არ დაღვრილა. სამაგიეროდ ვიღაცეებს ვიღაცეებისთვის პირობა მიუციათ, დღეის იქით თქვენ „მოქმედებაზე“ აღარაფერს დავწერთო.

ზოგი იტყვის, ეგ კერძო შემთხვევაა და მაგას არავითარი საზოგადოებრივი მნიშვნელობა არა აქვსო. ჩემის აზრით კი ასეთ უბრალო შემთხვევებს უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ. „დანოსჩიკებისა“, „შეშლილებისა“, „ნაციონალისტებისა“, „ბურჟუებისა“ და „მოღალატეთა“ ბანაკში ქარიშხალის მომასწავებელი სუნი ტრიალებს. ნურავის ეგონება, ვითომ დღეს თუ ხვალ აუარებელი სისხლი დაიღვრება. არა, იქნება საქმე სისხლის ღვრამდე არ მივიდეს, მაგრამ რით სჯობია ელექტრონით გაჟღენთილ ჰაერის სუნთქვა სისხლის ღვრას? ბევრით არაფრით.

ყველანი ერთმანეთს ასამართლებენ, მაგრამ ის კი ყველას ავიწყდება, რომ გიოტესი არ იყოს — „მასსას შეუძლიან მხოლოდ მოკვლა და არა გასამართლება“.

ა—ლი.

ᲔᲮᲕᲘᲗ ᲨᲔᲙᲣᲠᲝᲑᲘᲚᲡ

...და რაღა ვითხრა აწ, მეგობარო,
რითი ავაგზნო კვლავ შენი გული,
რომ ერის კერას მსხვერპლად დაუდო
ტანჯვა, სიამე და სიხარული?

—

საყოველთაო, საკაცობრიო,
უზენაესი, წმიდათა წმიდა,
მამულის ტრფობა, დიადი გრძნობა
რისთვის დაკარგე, რად გაგიცვდა?..

—

ნუ თუ გგონია ჯვარი დაუსვი
და მოიხადე საქვეყნო ვალი,
როცა უარ ჰყავ და აღარა გწამს
ჩვენი არც აწმყო, არც მომავალი?!..

—

არა და არა! რაც ბევრჯელ მითქვამს,
გაგიმეორო უნდა ისევ ის:
გული გრდემლია და განსაცდელით
რწმენა ფოლადად გადიქცევის.

—

რად ეშვიანობ, არ საქმიანობ?
რისთვის გვიანობ? ძვირფასია დრო!
ადე, მიუწყე ქვეყანას ვალი
შენი ნაწილი და საწილხვედრო!...

—

ერი ბურუსში რომ გახვეულა,
რა ვუყოთ მერე? როგორ გგონია?
ხშირად განთიადს ნისლი წინ ესწრებს
და ეს ბუნების წეს-კანონია!

—

ქარტეხილისგან ხშირად ბორბალი
ხან წაღმა, ხანაც უკუღმა ბრუნავს!...
და მწამს, რომ აქაც მებრძოლმა თავი
ველარ გაართვა პირველ საზრუნავს...

—

გუშინ და დღესაც ჩვენი თვალის წინ
ის იხრჩობოდა სისხლთ ნაკადულში
და მონად შობილს, მონადვე აღზრდილს
ვერ უთქვამს იგი, რასაც გრძნობს გულში..

—

მაგრამ აჰა, დრო, ჰა ნიადაგი,
ჰა ასპარეზი ხალხის წინაშე!
ყოველი წვეთი, ოფლად დაღვრილი,
შეიწირება, ვითა ზედაშე!

—

აზრი გაიტანს, ცხადია მისი
ცხოველმყოფლობა და ძლიერება
და შენებრ ზოგთა ურწმუნოებას
დაამხობს ერის ცნობიერება!

დ. თომაშვილი

ᲡᲐᲗᲐᲗᲑᲘᲠᲝ. ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘ

რუსეთის სათათბიროს მარცხენა ნაწილს შეადგენენ სხვა და სხვა სოციალისტური პარტიები და ე. წ. მშრომელთა ჯგუფი. როდესაც საძინისტრომ სათათბიროს ადრესზე თავისი ცნობილი უარყოფითი დეკლარაცია წარადგინა, სათათბიროს უმეტესობამ სასტიკად გაჰკიცხა მთავრობა,—მემარცხნეთა ნაწილმა კი ესეც არ იკმარა და გადაწყვიტა, ხალხს მიჰმართოს და შეატყობინოს, როგორც მთავრობის ქცევა, ისე თავისი შეხედულება მის მოქმედების შესახებ. თოთხმეტმა დაპუტატმა შემდეგი განცხადება დაბეჭდა:

„13 მაისს მთავრობამ სათათბიროს წაუკითხა თავისი პასუხი იმ ადრესზე, რომელიც სათათბიროთ წარუდგინა ხელმწიფეს. თქვენ იცით, ამხანაგებო, რას ითხოვდა სათათბირო, თქვენ იცით ესლა, რა უპასუხა მას მთავრობამ.

სათათბირო მოითხოვდა ამნისტიას,—მთავრობამ უარი განაცხადა. სათათბირო მოითხოვდა სიტყვის, პრესსის, გაფიცვის, კავშირების თავისუფლებას, პიროვნების ხელუხლებლობას, სიკვდილით დასჯის მოსპობას, სამხედრო წესების გაუქმებას. მთავრობამ უარი სთქვა.

სათათბიროთ მოითხოვა საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღება. მთავრობამ უარი სთქვა.

სათათბიროთ მოითხოვა, რომ საუფლისწულო, საეკლესიო, საკაბინეტო, სამონასტრო და საბატონო მიწები გლეხების ხელში გადავიდეს. მთავრობამ უარი სთქვა. მან განაცხადა, რომ ნებას არ მისცემს სათათბიროს, კეთილ საკუთრებას შეეხოს.

მთავრობა მუშათა დასახმარებლად არავითარ საშუალების მიღებას არ ჰპირდება.

თავის მოთხოვნაზე ასეთ პასუხის მიღების გამო სათათბიროთ ერთხმად გადაწყვიტა ახლანდელ მინისტრებს უნდობლობა გამოუცხადოს და მოითხოვოს, რომ ახალი სამინისტრო შემდგარიყო ისეთ პირთაგან, რომელნიც თანახმანი იქნებიან სათათბიროს ადრესში გამოთქმული პროგრამა განახორციელონ.

ამხანაგებო! ჩვენ, სათათბიროს მუშებმაც, მივეცით ხმა ამ უნდობლობის გამოცხადებას. მუშათა კლასს, რასაკვირველია, კიდევ ბევრი რისიმე მოთხოვნა შეეძლო იმის გარდა, რაც მოითხოვეს სათათბიროს წევრებმა, მაგრამ სათათბიროს ადრესში მაინც ბევრი რამ იყო ისეთი, რაც მთელ ხალხისთვის და მუშებისთვისაც აუცილებელი საჭიროა. ამიტომ ჩვენ მოვალეობად ჩავთვალეთ სათათბიროსთან ერთად პროტესტი გამოგვეთქვა იმ მთავრობისთვის, რომელსაც არ სურს ხალხის წარმომადგენელთა სურვილებს ყური ათხოვოს.

ამნაირად, ამხანაგებო, სახელმწიფო სათათბიროს განხეთქილება მოუვიდა თვითპყრობელ მთავრობასთან და ეს განხეთქილება ბოლოს მთავრობის სრულ დამარცხებით უნდა დასრულდეს. ხალხს შეუძლია მოიპოვოს გამარჯვება, თუ მისი ყველა ნაწილი მხნედ ჩაერევა იმ ბრძოლაში, რომელიც სათათბიროთ დაიწყო.

ამხანაგებო! ახლა თქვენ ხედავთ, რომ ხალხს ვერ უშველის სათათბირო, სანამ მთავრობას შეეძლება წაართვას მას ხამდვილ წარმომადგენლობის უფლება. თქვენ ხედავთ, რომ მთავრობის თვითნებობა სათათბიროს ყოველ საქმეს ხელს უშლის. ამ მთავრობის ხელშია აღარებული მიწის სიმდიდრე,

ისინი სარგებლობენ ჩვენი უუფლებობით და ყოველნაირ არა ჩვეულებრივ კანონებით (სამხედრო და გაძლიერებულ დაცვის წესებით), რომ გლეხი და მუშა ხალხი დაიმონავონ და დაამცირონ.

ესენი,—თავადაზნაურობა, ჩინოვნიკობა და უმაღლესი სამღვდელოება, დაეპატრონენ სახელმწიფოს უფლებას და რუსეთს თავისუფლებისაკენ ერთ ნაბიჯის გადადგმასაც არ აცლიან.

ხალხის მოთხოვნათა ასრულება არ შეუძლია უფლება მოკლებულ სათათბიროს ჩინოვნიკურ მთავრობის ხელში, ამ საქმეს ასრულებს მხოლოდ სრულ უფლებიანი დამფუძნებელი კრება არჩეული საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და საიდუმლო კენჭის ყრით, სარწმუნოების, ეროვნების და სქესის განურჩეველად.

ყველა უფლების დამფუძნებელ კრების ხელში გადაცემისთვის ბრძოლა—,ეს არის ყველა მოქალაქის მოვალეობა ამ ჟამად და ჩვენც, დეპუტატი მუშები, მხნედ ვეცდებით, რომ სათათბიროს მოამზადოს ასეთ დამფუძნებელ კრების მოწვევა.

თქვენ-კი, ამხანაგო-მუშებო, ახლავე უნდა დაემზადოთ, რომ მხარი დაუჭიროთ სათათბიროს მის შეტაკებაში მთავრობასთან და უნდა დაიცვათ თქვენი ინტერესები.

შეკავშირდით, შეუგნებლებს აუხსენით, თუ რა მნიშვნელობა აქვს სათათბიროსა და მთავრობის განხეთქილებას, შეერთდით, შეიკრიბეთ ძალები,—გამოგადგებათ.

მაგრამ ამ შეერთების და შეკავშირების დროს ნუ აჰყვებით პროვაკაციას და ტყუილა-უბრალოდ ნუ გამოიწვევთ შეტაკებას მთავრობასთან. ტყუილა-უბრალოდ სისხლს ნუ დაღვრევინებთ.

ამჟამად ყველაზე უფრო საჭიროა, რომ მთელმა რუსეთმა, პატარიდან დაწყებულმა დიდამდის, გამოსთქვას თავისი აზრი ხსენებულ განხეთქილების შესახებ.

მაშ გამოსთქვით თქვენი გულწრფელი აზრი, ამხანაგებო, შეადგინეთ რეზოლუციები და დადგენილებანი და გამოგზავნეთ თქვენი დეპუტატები. ეს გაგვამაგრებს ჩვენ ჩვენს ბრძოლაში მთავრობასთან, რომელსაც უნდა რომ არაფერი არ მისცეს მუშებსა და გლეხობას.“ —*

ქრისტიანობა და მუშათა საკითხი

ყოველი სარწმუნოება „საიქიოს“ დახასიათებას არ სჯერდება და ცდილობს თავის ზნეობრივ მოძღვრებით ადამიანის საამქო ცხოვრება შესცვალოს. და, რაკი სარწმუნოებას ჩვენ დროშიაც ხალხში დიდი გავლენა აქვს, ამიტომ საჭიროა იმისი გარკვევა, თუ რა თვალით უყურებს ესა თუ ის სარწმუნოება ყველა იმ საჭირბოროტო კითხვას, რომელიც ამ ჟამად აღელვებს კაცობრიობას.

ამ მხრივ ქრისტიან სარწმუნოებას ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ, თუ რა თვალით უყურებდა ამ სარწმუნოების დამაარსებელი იესო ქრისტე ადამიანისაგან ქონების შეძენას ან მოხმარებას და რა დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა, მისის აზრით, ადამიანს თავის მოყვასთან. ამნაირად, ჩვენ ამ სარწმუნოების სოციალურ მნიშვნელობას გავიგებთ.

იესო ადამიანს ქონების შეძენას და მუდამ მაზე ფიქრს არ ურჩევდა და არ უქებდა. სიმდიდრეს მრავალი განსაცდელი თან ახლავს. რად უნდა ადამიანს მსოფლიოს დასაკუთრება, თუ ამით თავის სულს დაჰკარგავსო. მაგრამ შეცდომა იქნებოდა, რომ გვეფიქრა, ვითომ იესო სრულებით უარსა ჰყოფდეს ეკონომიურ კეთილდღეობაზე ზრუნვას და ქვეყნისგან განდგომას ჰქადაგებდეს. ამას ჰქადაგებდა იოანნე ნათლისმცემელი, რომელიც უდაბნოში ცხოვრობდა და ტყეში თავის საკვებს ეძებდა,—იესო, პირიქით, თვითონ ესწრებოდა სტუმრობებს, მან ერთხელ წყალი ღვინოდაც აქცია, მისი მოწაფეები არ მარხულობდენ და ფარისევლები იესოს ლოთობას და ავმუცლობასაც აბრალებდენ.

შემდეგ ქრისტიანე ეკლესიამ შესცვალა ამ საგანში ქრისტიანობის ზნეობრივი მოძღვრება და მორწმუნეთაგან ქვეყნისაგან განდგომას ითხოვდა. მხოლოდ ლუთერის დროს ისევ დაუბრუნდენ ქრისტიანე პირველ შეხედულებას. ლუთერი, მაგ., თავის სახელმძღვანელოში ამბობს, რომ „მამაო ჩვენოში“, „პური ჩვენი არსებისა“ ნიშნავს არა მარტო პურს, არამედ ამ სიტყვით იგულისხმება აგრეთვე ყველაფერი, რაც ადამიანის სხეულის სხვა და სხვა საჭიროებას ეხება,—საჭმელ-სასმელი, ტანისამოსი, ფეხსაცმელი, სახლი, ეზო, სახნავ-სათესი, შინაური საქონელი, ფული, ქონება, კეთილი ცოლი კეთილი ბავშვები, კეთილი მსახურები, კეთილი პატრონი, კარგი მთავრობა, კაი დარი, მშვიდობიანობა, ჯანმთელობა ზნეობა, პატიოსნება, კარგი მეგობრები, ერთგული მეზობლები და სხვა.

ამ მხრივ თანამედროვე მუშათა მოძრაობასაც ქრისტიანობა უნდა თანაუგრძნობდეს, რადგანაც მუშის მისწრაფებას საკუთარ კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ სრულებით ვერ დაერქმევა მამმონის სამსახური,—პირიქით, სიღარიბე და ცხოვრების ცუდი პირობები ადამიანს ყოველივე სიცუდისაკენ მიიყვანებენ.

იქ, სადაც ეკლესია შეძლებულ კლასების ხელში ჩავარდნილია, სადაც მან თვითონ შეიძინა რამე ქონება, სადაც ეკლესიის მოხელენი განსაკუთრებით ამ კლასის წევრები არიან, ან სადაც მთავრობა ეკლესიის ბრძანებლობას კისრულობს, იქ სამღვდელოება თავის ქადაგებებში ხშირად არწმუნებს ღარიბებს, რომ სიმდიდრის შოვნა მათ განსაცდელში ჩააგდებს, რომ „ღარიბები ღმერთს უყვარს.“ ღარიბებს მოთმინებას ურჩევენ! „რაღა საკვირველია, თუ კი ღარიბები—დამონებულნი—მტრულის თვალით უყურებენ ასეთ ეკლესიას, თავის სახსნელად საჭიროდ სთვლიან ეკლესიის მოსპობას და ყოველივე მატერიალისტურ, სარწმუნოების მოწინააღმდეგე მოძღვრებას მისდევენ და ეკედლებიან.

მაგრამ, ქრისტიანობის შეხედულობას სიმდიდრეზე მის სოციალურ შინაარსის გასაგებად იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ადამიანის ქრისტიანულ დამოკიდებულებას მოყვასთან, ცხადად და გარკვევით ითხოვს სარწმუნოება მოწყალებას, მოყვასის ძმურ სიყვარულს და მის დახმარებას. „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენიო“, ამბობს სარწმუნოება. „ნეტარ არიან მოწყალენიო.“ „თუ გინდა სრული შეიქნე, წადი, გაყიდე შენი ქონება და გლახაკებს დაურიგეო.“ მოყვასის სიყვარული ქრისტიანე სარწმუნოებაში თითქმის უკიდურესობამდის მიდის, ეს ალტრუისტობა თითქმის ითხოვს თავის საკუთარ კეთილდღეობაზე ხელის აღებას მოყვასის საკეთილდღეოდ.

ქრისტიანობის პირველ ხანებში, როდესაც სარწმუნოება ჯერ შებღალული არ იყო, ქრისტიანები ერთმანეთში ძმობებს აარსებდენ,—ამ ძმობებს ყველაფერი საერთო ჰქონდათ.

„ჰყიდდენ ქონებას და ყოველივე საკუთრებას და უყოფდენ ყველას, საჭიროების მიხედვით ყველა მორწმუნეს ერთი გული და ერთი სული ჰქონდა და თავის ქონებიდან თავის კერძო საკუთრებად არავის არაფერს არ უძახდა, არამედ ყველაფერი საერთო ჰქონდათ... არ იყო მათში გაჭირვებული, ვინაიდან ყოველი მქონებელი თავის ქონებას ჰყიდდა და გაჭირვებულს ეხმარებოდა.“

ქრისტიანე ეკლესია, როგორც დაწერილებულება, ამ ზომამდე არ მისულა, მაგრამ მასაც უნდოდა ყველა ერი და ყველა სახელმწიფო გაეერთიანებინა. თავის საკუთარ კეთილდღეობაზე ზნუნვას ეკლესია არავის არ უკრძალავდა, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ამით არაფერი ვნება არ ენახათ სხვებს. ღარიბების დახმარების მოთხოვნა უცვლელად დარჩა, მხოლოდ საკმარისად მიიმჩნიეს იმ საქმისთვის მორწმუნესაგან ქონების მხოლოდ ერთ ნაწილის გადახდა, —ზედმეტის. ზედმეტად ,,ი ითვლებოდა ის, რაც საზოგადოებრივ მდგომარეობის შესაფერრად ცხოვრებას გადარჩებოდა. მაგრამ ეკლესია არ უჩვენებდა იმას, თუ როგორი ცხოვრება იყო მდგომარეობის შესაფერი ან არა შესაფერი ადამიანისთვის და ამიტომ, ცხადია, რომ ყოველი ადამიანი ამ მხრივ თავისუფალი იყო და ღარიბებს ნამდვილად სწირავდა იმდენს, რამდენიც სურდა. საჭიროა თუ არა, მაგ., მდიდარ კაცისთვის ძვირფასი ცხენები, რომ თავის მდგომარეობის „შესაფერად“ იცხოვროს, უნდა შეიკეროს თუ არა სასახლეში დაპატიჟებულმა ქალმა ძვირფასი კაბა, და სხვ. და სხვ.

ეკვი არ უნდა იმას, რომ ოფიციალურმა ეკლესიამ თავისებური განმარტება მისცდა საღმრთო წერილის ყველა იმ ადგილს, რომელიც სიმდიდრეს ჰკიცხავდა. მაგრამ მოყვასის სიყვარულის სრული ჩაფუჩჩება მან მაინც ვერ მოახერხა. ათასნაირი ღარიბთა და სნეულთა თავშესაფარები საფრანგეთში, პროტესტანტ ეკლესიის საქველმოქმედო დაწესებულებანი გერმანიაში ან ინგლისსა და ამერიკაში,—ყველას მოყვასის სიყვარული ედო სარჩულად, ის აზრი, რომ ყველანი ძმები ვართ, რომ ერთმანეთის წინაშე ყველანი პასუხსაც ვაგებთ ჩვენს მოქმედებაში.

ამ მხრივ თანამედროვე დემოკრატიაც წააგავს ქრისტიანობას ამ დემოკრატიის სათავე პურიტანების და ინდენპენდენტების აზროვნებაში უნდა ვეძიოთ. ესენი ჩრდილოეთ ამერიკაში მიდიოდენ, რომ იქ განეხორციელებინათ პირველის სიწმინდით ქრისტეს სარწმუნოება. მათი სახელმწიფო წესწყობილება იყო უკიდურესი დემოკრატია, მაგრამ, რასაკვირველია, „წმინდათა დემოკრატია“. აქ ყველა თანასწორ მონაწილეობას იღებდა მართვასა და გამგეობაში. მთავრობას და გამგეობას არ ირჩევდენ და საზოგადოდ ყოველივე წარმომადგენლობა სასტიკად აკრძალული იყო. ყველა უნდა მოსულიყო კრებაზე და ყველას უნდა მიეღო მონაწილეობა საზოგადო საქმეში. ამ სათავედან გამოვიდა ჩრდილოეთ ამერიკის დიადი სამოქალაქო დემოკრატია. ამ დემოკრატიის დაარსებამ, მისგან ადამიანის უფლებათა გამოცხადებამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ ევროპაში.

თვით ინგლისშიაც კრომველის დროს ინდენპენდენტებს და პურიტანებს დიდი ღვაწლი მიუძღვით ხალხის გაბატონების და პარლამენტის გაძლიერების საქმეში. საზოგადოდ, ქრისტიანობას თავის მხრივ უცდია ღარიბ-ღატაკთა და დაჩაგრულ დამონებულთა მდგომარეობის გაუმჯობესება. დღეს, შეიძლება, ზოგიერთებმა ამ ცდის მნიშვნელობა დაამცირონ ან გააზვიადონ, ცხადი კი არის მხოლოდ, რომ არ შეიძლება ეს მნიშვნელობა სავსებით უარჰყოს ადამიანმა.

ეკლესიამ ბევრ რამეში შეიძლება შესცვალოს ან დაამახინჯოს მის დამაარსებელის მოძღვრება, მაგრამ ამ მოძღვრების დედა აზრის მოსპობა არავის არ შეუძლია და ამ მხრივ ცხადია, რომ ქრისტიანების ეკლესია უნდა ცდილობდეს სოციალურ სინდისის განვითარებას, ძლიერ ხასიათის პატრონთა, მოყვასის საკეთილდღეოდ თავდადებულ ადამიანთა აღზრდას და სამოქმედოთ გამოყვანას.

კათოლიკეთა პაპი, ლეო XIII, თავის წერილში de conditione oficium“, რომელიც 1891 წ. 15 მაისს არის გამოცემული, მდიდრებს და მუშათა პატრონებს ურჩევდა: „მუშებს მონებად ნუ ისახავთ და მონებსავით ნუ ექცევით. მათი პირადი ღირსება თქვენთვის ძვირფასი უნდა იყოს, შრომა და ხელობა მათ არ ამცირებს, პირიქით, ყველა, ვინც გონებრივად და ქრისტიანულად მსჯელობს, უთუოდ იტყვის, რომ სასახელოა საკუთარ შრომით ლუკმა პურის შოვნა და ცხოვრება. სირცხვილია სხვისი გაყვლეფა და მცირე ქირის მიცემა, ვიდრე ნამდვილად დირს მათი სამუშაო ძალა. უსამართლობაა მუშებისთვის ნამეტანი საქმის და კისრება, ვიდრე მათ ძალას შეუძლია ატანა, ან ისეთის, რომელიც მის სქესს ან წლოვანებას არ შეეფერება. ღმერთის წინააღმდეგობაა სხვის სიღარიბით სარგებლობა, ცოდვაა მუშათა ქირის შერჩენა,—საჭიროა, პირიქით, მუშათა მოძრაობის ხელის შეწყობა.“

პროტესტანტ ეკლესიაც სოციალური მოქმედება არ ევალება თვით სამღვდელოებას ან მონოზნებს, როგორც კათოლიკთა ეკლესიაში. ერთი დრეზდენელი მოძღვარი, მაგ., ურჩევდა პატარ-პატარა მრევლების შედგენას, რომ თვითო მრევლში 5000 კაცი ყოფილიყო და რომ ამ მრევლებს ეკისრათ სოციალურ რეფორმის ადგილობრივი განხორციელება.

მაგრამ შესაძლებელი კი არის ქრისტიანობის საფუძველზე რამე გარკვეულ სოციალ-პოლიტიკურ პროგრამის შემუშავება? ამ მხრით კათოლიკე ეკლესია თითქო უკეთეს პირობებშია ჩაყენებული,—მტკიცე დისციპლინის მქონე იგი ადვილად ადგება ერთ რომელსამე აზრის განხორციელებას.

პაპის მოხსენებულ წერილში, რომელიც თანამედროვე სოციალ-პოლიტიკურ კითხვებს ეხება, სხვათა შორის, მოხსენებულია მუშათა მფარველი კანონდებლობაც. წერილში ჩამოთვლილია ამ საქმეში სასურველი რეფორმები,—სადაც პატრონი სჩაგრავს მუშებს და მათ გაყვლეფას იწყებს, სახელმწიფო უნდა ჩაერიოს საქმეში, თუმცა ეს საქმეში ჩარევა საზღვარს არ უნდა გადასცილდეს ხოლმე. დღიური შრომა არ უნდა ასუსტებდეს ადამიანს,—სხვა და სხვა საქმეში მოსვენების დროც, სხვა და სხვა უნდა იყოს. მთაში და მაღნებში მუშაობა უფრო ძნელია და ამიტომ იქ, რასაკვირველია, სამუშაო დროც უფრო მოკლე უნდა იყოს და მოსვენებაც უფრო დიდი; ზოგი ერთ საქმეს ქალი და ბავშვი ვერ იტანს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვების შრომას. სანამ ბავშვი არ გაიზრდება და არ მოლონიერდება, მისი, ქარხნებში მუშაობა არ უნდა შეიძლებოდეს. ზოგიერთი საქმე არ შეეფერება ქალებს, რომლებიც, პაპის აზრით, განსაკუთრებით შინაურ მეოჯახობას უნდა მისდევდენ. როგორც მოვიხსენიეთ, ზოგიერთ საქმეში შრომა უფრო ძნელია და ამიტომ იქ სამუშაო დღეც უფრო მოკლე უნდა იყოს,

მაგრამ, მეორეს მხრივ, არის ზოგიერთი ისეთი საქმე, რომელიც უფრო გამუდმებულ შრომას მოითხოვს შრომის რაოდენობა ისეთი უნდა იყოს, რომ მუშამ შეიძლოს მუშაობაზე დახარჯულ ძალის აღდგენა. ყველა ის შეთანხმება, რომელიც პატრონს მუშასთან ექნება და რომელიც აღნიშნულ პირობებს ეწინააღმდეგება, უკანონოდ უნდა ითვლებოდეს.

როგორც მკითხველი ხედავს, აქ გამოქმული აზრები იმდენად გაურკვეველია, რომ არ შეიძლება მათის მიხედვით რამე გადაჭრილ კანონის შემუშავება; კიდევ უფრო ბუნდოვანი და გაურკვეველია იგივე წერილი იქ, სადაც იგი მუშათა კავშირებს ეხება.

უმაღლეს მიზნად უნდა ითვლებოდეს მუშების და პატრონების თანხმობა მათს უფლებასა და მოვალეობებში. ყველა უთანხმოების მოსასპობად და თავიდან ასაცილებლად უნდა შესდგეს გამოცდილ და უმწიკვლო პირთა კომისიები,—ამ კომისიებს, ხსენებულ საქმეების განხილვის დროს, გადამწყვეტი ხმა უნდა ჰქონდეს მინიჭებული. სასურველია, რომ ამ კომისიებში წევრებად შედიოდენ, როგორც მუშათა წარმომადგენელნი, ისე პატრონებიც და რომ მუშები ყოველ უთანხმოების დროს ვალდებული იყვენ საქმე ამ კომისიებს გადასცენ. მუშათა კავშირების წევრებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ რაძე მუშაობა, უნდა ჰქონდეთ საერთო კასსა, საიდანაც ყოველმა წევრმა უსაქმურობის, ავადმყოფობის, მოხუცებულობის ან სხვა რომელიმე უბედურობის დროს შესაფერი დახმარება უნდა მიიღოს.

მაგრამ რა ქმნას მუშამ, თუ ამ კავშირებს კანონიერად არ სცნობენ თვით პატრონები და თუ მუშებმა ამ კავშირებით იმ პირობების მიღებაც ვერ მოახერხეს, რომელიც თვით პაპის წერილში სასურველად არის გამოცხადებული? შეუძლია თუ არა ამ შემთხვევაში ბრძოლას დაადგენ და გაფიცვა დაიწყონ?

პაპის წერილი პირდაპირ უარჰყოფს გაფიცვას. მისი აზრით სახელმწიფოს სრული უფლება აქვს „გაფიცვების მოსასპობად საჭირო ზომები მიიღოს, თუმცა უფრო სასურველად ძჩნეულია საამისოდ ისეთ ზომების მიღება, რომელიც თვით გაფიცვის მიზეზს სპობს.“

რაკი გაფიცვა და პატრონებთან უთანხმოება მუშებს განსაკუთრებით იმის გამო მოსდით, რომ მუშებს მეტი ქირის მიღება ან ნაკლებ დროის მუშაობა უნდათ, ამიტომ უნდა იკისროს თუ �ა მთავრობამ ეს საქმე და უნდა დაადგინოს თუ არა თვითონ სამუშაო ქირა სახელმწიფოში? რა უნდა ჰქნან მუშებმა თუ პატრონმა მათ სამართლიან მოთხოვნის ასრულება არ ეთინდოს? რა გზას უნდა დაადგენ მუშათა კავშირები, რომ მათ მუშაობა არ გამოელიოს? და,—კითხვა, რომელიც პაპის, როგორც კათოლიკეთა უფროსის თვალში, მეტად მნიშვნელოვანია,—სადაც სხვა და სხვა სარწმუნოების ხალხია დასახლებული, სადაც, მაგ. კათოლიკენი და პროტესტანტები ერთად ცხოვრობენ,—იქ როგორ უნდა მოიქცენ მუშები და რომელ საეკლესიო ავტორიტეტს დაემორჩილონ? ან რა გზას დაადგეს მუშა, რომელიც ეკლესიის გარედ არის დარჩენილი? შეუძლიათ თუ არა კათოლიკე მორწმუნე მუშებს შესვლა გერმანელების პროფესიონალურ ორგანიზაციებში, რომლებიც ხშირად ხელს უწყობენ სოციალ-დემოკრატიულ მისწრაფებას? როგორც მკითხველი ხედავს, პაპის წერილში გამოთქმული პროგრამა სრული არ არის და გადაჭრით არ არკვევს სხვა და სხვა ძნიშვნელოვან სოციალ-პოლიტიკურ კითხვებს.

ამნაირად თვით კათოლიკე ეკლესია, რომელშიაც პაპს განუსაზღვრელი ავტორიტეტი აქვს ძინიჭებული, პოლიტიკურ პარტიისათვის მხოლოდ ბუნდე და განურკვეველ საფუძველს იძლევა. პროტესტანტი ეკლესია ხომ კიდევ ნაკლებად მოახერხებს ამ საქმეს, რადგანაც მისი ბრძანება ისე სავალდებულო არ არის მის მიმდევართათვის, ხუმცა პროტესტანტობის წარმომადგენლები და დამცველები ეს გარემოებას სასურველად არსთვლიან. მართალია, ზოგიერთი პროტესტანტი მღვდელი ფიქრობს, რომ შეიძლება საეკლესიო მოძღვრებიდან პირდაპირ ხიდის გადება ეკონომიურ მეცნიერებისა და პოლიტიკისკენ,—ცნობილი პასტორი გერე, მაგ., თვითონვე ამბობს, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში შრომობდა შინ ამ მიზნის მისაღწევად, თუმცა ბოლოს დარწმუნდა, რომ ეს საქმე აუსრულებელია, ქრისტიანობას არ შეუძლია იმის თქმა, მოსახერხებელია თუ არა წარმოების ამა თუ იმ დარგში 8 ან 9 საათიან სამუშაო დღის დაწესება, საჭიროა თუ არა საამისოდ პროფესიონალურ მოძრაობის გაძლიერება თუ შესაფერი კანონდებლობა, უმუშაობისაგან დაზღვევა მუშათა კავშირებმა უნდა იკისრონ თუ ადგილობრივმა თვითმართველობამ ან სახელმწიფომ. ქრისტიანობას შეუძლია მხოლოდ აგვიკრძალოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც უსამართლოდ დაარღვევდა მუშების ან მეპატრონეთა ინტერესს. სარწმუნოების მიხედვით,—სამართლიანის თუ უსამართლოსი გარკვევა ჩვენი სვინდისის საქმეა.

ამნაირად, ქრისტიანობას არ შეუძლია პოლიტიკის ტეხნიკურ წვრილმანებში გაუძღვეს მორწმუნეს, ძას შეუძლია მხოლოდ რამდენიმე გარკვეული ზნეობრივი პრინციპი წამოაყენოს. ამ პრინციპებს ვერ უარჰყოფს და უყურადღებოდ ვერ დასტოვებს ვერც ერთი ადამიანი, რომელსაც ქრისტიანობა სწამს. ასეთი პრინციპთაგანი, სხვათა შორის, ის არის, რომ ადამიანმა სხვა არ უნდა დასჩაგროს, თუმცა ამით თვითონ დიდი მოგების იმედი ჰქონდეს. ქრისტიანე სარწმუნოება მორწმუნეთ უკრძალავს სხვა ერის წინააღმდეგ ომის დაწყებას თავის საკუთარ გამატონებისთვის.

საზოგადოდ ყოველთვის ცდილობენ სარწმუნოების სხვა და სხვა ცნებას ისეთი განმარტება და სახე მისცენ, რომ იგი პოლიტიკაში გამატონებულ ჯგუფების სასარგებლო შეიქნეს. სარწმუნოების საშუალებით ებრძვიან ერთმანეთს და ამით მხოლოდ ხედ მეტ განხეთქილებას იწვევენ.

ისინი, ვისაც აზრად აქვს სარწმუნოების საფუძველზე ხალხისთვის სასარგებლო სოციალ-პოლიტიკურ რეფორმების განხორციელება, ვისაც სწამს, რომ ეკლესიას შეუძლია ეს დიადი საქმე იკისროს,—საზოგადოდ არ თანაუგრძნობენ ეკლესიისაგან და მის წარმომადგენელთაგან ყოველდღიურ პოლიტიკაში ჩარევას. მათის აზრით, სარწმუნოება მხოლოდ ადამიანის სვინიდისის ხელმძღვანელი უნდა იყოს, სარწმუნოება უნდა ცდილობდეს თვით ადამიანის განსპეტაკებას და აძაღლებას,—და არა ცხოვრების გარეშე პირობათა შეცვლას და ახალ დაწესებულებათა შემოღებას. ეკლესიამ უკეთეს ადამიანების შექმნა თუ მოახერხა, ეკლესიამ ზნეობრივად თუ აღამაღლა ხალხი და მას უფრო დიადი იდეალები მიაღებინა, შემდეგ თვით ხალხი, ზნეობრივად ამაღლებული, ცხოვრების ახალ პირობებს თვითონ შექმნის და შემოიღებს. ისინი ამბობენ, რომ ქრისტიანობა ცალკე ერთა ან

ცალკე პარტიების ინტერესებს არ უნდა ემსახურებოდეს, მისი მიზანია კაცობრიობაში განახორციელოს და გაავრცელოს დიადი ზნეობრივი პრინციპი,— შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენიო!.. ასე ახასიათებენ სარწმუნოების და კერძოდ ქრისტიანობის სოციალურ შინაარს თვით ისინი, ვინც ქრისტიანობაში ზნეობრივად ძლიერ გამასპეტაკებელ ძალას ხედავენ.

ია. ზ—შვილი.

✦

დ ა ბ რ უ ნ დ ა!

(სურათი)

სახალხო მატარებელი ქლოშინითა და ხვნეშით უახლოვდებოდა პატარა სადგურს, რომელიც ტრიალ მინდორზე ობლად, განმარტოებით იდგა, სიარულს თან და თან უკლო და გაჩერდა. ვაგონებიდან საჩქაროდ გადმოხტა ხალხი და ზოგი სადგურის ბოლოში პატარა დუქნებისაკენ გაეშურა, ზოგიც წყლის ბოჩკისკენ გაექანა.

ყველა ჩქარობდა, ყველას ეშინოდა არ დაგვიანებოდა; მირბი-მორბოდენ, ერთმანეთს ეხლებოდენ და ვაგონებში დაბინავებას ეშურებოდენ. გავიდა რამდენიმე წამი. გაისმა ზარის ხმა, მეორე, მესამე. მას მოჰყვა კონდუქტორის სტვენა, ორთქმავალმა საზარლად შესჭყვირა, მატარებელი ნელა დაიძრა და პატარა ხანს უკან ერთ-ერთ გორაკთაგანს მოეფარა.

პლატფორმაზე დარჩენილი ხალხი ნელ ნელა გაიფანტა. წითელმა ქუდმა მარდად აირბინა კიბის საფეხურები და კარებში გაჰქრა. ტელეგრაფის მოხელე, რომელიც მატარებელს დაღვრემილი სახით შეჰყურებდა, ფანჯარას მოშორდა, მეისრეები სადღაც მიიმალნენ. სადგური სრულიად დაცარიელდა და მეორე მატარებლის მოსვლამდე მიყუჩდა, მიიძინა.

თითქოს ხალხის წასვლას ელოდაო, სადგურზე საიდღანაც გაჩნდა და სოფლის ბილიკზე გამოვიდა სალდათის ახალ ტანისამოსში გამოწყობილი ყმაწვილი ბიჭი. შავი, კარგად მოზრდილი ყუთი მხარზე გაედო, ჭუჭყიანი პარკი ღლიაში ამოეჩარა და გაჩქარებულის ხაბიჯით თავქვე დაეშვა.

ის იყო 25—26 წლისა, შუა-ტანის, საკმაოდ ჩასუქებული, სანდომიანი, შავგრემანი სახისა. შავი სქელი, წვერ-ულვაში კოხტად ჰქონდა შეკრეჭილი და ეტყობოდა, პატრონს საკმაო დრო და შრომა მოენდომებინა, რომ თავის სურვილზე დაეგრიხა და დაეყენებინა იგი.

აბიჯებდა მაგრად, ტანში არ ირხეოდა და ცდილობდა ბარგით დატვირთულსაც კი გამოეჩინა კოხტაობა. თუმცა სერიოზული სახე მიეღო, ღიღხანს თვალებში სიცოცხლე და ალტაცება უელავდა. ბარგის ზიდვა უჭირდა, მძიმე ყუთს მხარზე მალ-მალ ისწორებდა, პარკს ხან ერთი ხელით იღებდა, ხან მეორეთი, მაგრამ გზის ამაღლებულ ბელიკზე გაჩქარებული მიდიოდა და ერთს წერტილს, თავის სოფელს, თვალს არ აშორებდა.

შემოდგომის წყნარი, თბილი დღე იდგა. საღამო ხანი იყო.

ძირს დაცემულ ტრიალ მინდორს, ტყეებით დაბურულ მთებს და მცენარეობას საამური ფერი მიეღო. ბუნება თვალთა ხილვას ატკბობდა, გრილი, სუფთა, მსუბუქი ჰაერი გულს საამურად სწვდებოდა. ნახევარ ვერსზე მოსჩანდა კარგად მოზრდილი სოფელი, დახავსებულ-ჩაშავებულ ყავრის სახურავებით, უფანჯრო საბძელ-ბოსლებით და მიხვეულ-მოხვეულ გზებით, რომელთა შორის გარკვევით მოსჩანდა მაღლობზე მდგომი, თეთრად შელესილი, პატარა ეკლესია და მაღალი, ვიწრო, ნახევრად დანგრეული კოშკი.

მზეს გვერდზე გადაეხარა და დაუძლურებულ სუსტ სხივებს მკრთალად ჰფენდა არემარეს. დედამიწა იყო გრილი, რბილი. ეტყობოდა, ნაწვიმარი იყო, მხოლოდ ამშრალი,

სოფელს და მის მიდამოებს თითქოს ეძინა. არსაიდან ხმაურობა არ ისმოდა. ყავრის სახურავებიდან აქა-იქ ამოდიოდა შავი კვამლი და ჰაერში ითქვიფებოდა. შიგა და შიგ შენობების გვერდზე და მინდორში ზანტად მოძრაობდა თითო ოროლა საქონელი.

მგზავრი თანდათან უახლოვდებოდა სოფელს, მაგრამ ფეხები უკან რჩებოდა. ეგონა თავის დღეში ვერ მივიდოდა სახლში. თვალი მისი ერთს საგანზე ვერ გაჩერებულიყო. ის გზა, ის ხეები, ბუჩქები, ის სახლები—ყველა მისი ნაცნობია, საყვარელი. ყველას კარგად იცნობს, ყოველი კუთხე, ყოველი საგანი ისე აქვს ჩანახსოვრებული, ისეა მის ჰკუა-გონებაში აღბეჭდილი, რომ ვერავითარი დრო, ვერავითარი შთაბეჭდილება მას ვერ წაშლის, მის ალაგს ვერ დაიჭერს.

ის დაცემული ვაკე, სახნავი, საძოვარი ადგილები! სად არ აქვს მას ფეხი დადგმული? სად არ უხნავს? სად არ უთესია? სად არ უძოვებია საქონელი? ის მტკვარი,—გაზაფხულზე მოდიდებული, განრისხებული, საშიშარი, ხოლო ზაფხულ-შემოდგომაზე მშვიდი, უწყინარი! წვიმით ამღვრეულ წყალში რამდენჯერ უხელავნია, რამდენჯერ უბანავია, უჭყუმპალავნია შიგ, ის ხეობა, ეს ტყიანი მთები? სად არ ყოფილა ამ ადგილებში? შესწავლილი აქვს ყოველი ფერდობი, განის გზა, ბილიკი, ყოველი ხევი, ოღრო-ჩოღრო ადგილები. ბევრჯერ ყოფილა შეშაზე, ზამთარში ციგით, ზაფხულში ხარებით, ბევრი წვალება გამოუვლია, ბევრჯერ თავბედი უწყევლია, შეზიზღებია ეს ადგილები, მაგრამ ახლა ყოველისფერი უსიამოვნო რამ დაავიწყდა, თითქოს არც ყოფილა იგი, ახლა ეს ადგილები უყვარს და ყველას გულით მიუალერსებს.

სალდათი ერთ მუხის ქვეშ შეჩერდა, რომელიც გზის ნაპირას იდგა, ყუთი მიწაზე დასდო, ქუდი მოიხადა და ოფლი მოიწმინდა. სიარულით დაიღალა, მხარიც სტკიოდა, ყუთზე დაეშვა და ისევ სოფელს დაუწყო ცქერა.

უნდოდა პატარა შეესვენა და ძალა მოეკრიბნა, მაგრამ საკმაო დრო გავიდა და ის კი ისევ იჯდა. მისდა უნებურად ტკბილს გრძნობებს მისცა თავი და გარშემო არარაფერს ამჩნევდა.

ესეც მისი სოფელი. აქ დაიბადა, აქ გაიზარდა, მხოლოდ აქ გრძნობს თავის თავს ადამიანად, მხოლოდ აქ შეუძლიან ხმა აიმაღლოს, აქ გრძნობს მხოლოდ თავის თავს კარგად. ხუთი წელიწადია, რაც აქედგან წაიყვანეს. ეს ხანა არ დაავიწყდება თავის სიცოცხლეში. პირველი წელიწადი მისთვის უსიამოვნო, ცუდი სიზმარი იყო. შემდეგ ასე თუ ისე გარემოებას შეეჩვია და სახლში დაბრუნების ფიქრი და აცოცხლებდა.

გავიდა დანარჩენი ოთხი წელიწადიც და სახლში დაბრუნება მით უფრო სანატრელი, მით უფრო სასიამოვნო გახდა მისთვის. სამსახურის უკანასკნელი თვეები და ის დრო, რაც გზაში იყო, წამების დროდ გადაექცა სალდათს. თვალწინ ეხატებოდა სურათი, როგორ შეხვდებოდა ამდენი წლის უნახავ ნაცნობებს. წინდა-წინვე შეიმუშავა გეგმა, როგორ დაიჭერდა თავს შე-

ხვედრის დროს: ამაყად, როგორც შეჰფერის რუსეთში ნამსახურს კაცს, რომელსაც ბევრი რამ უნახავს და ბევრი ამბავი გადახდენია თავზე. ახლა ის აღარ არის, რომელიც ამ ხუთი წლის წინად ქალამნებითა და დაგლეჯილი ჩოხით მატარებელში ჩასვეს და საკლავი ხარივით სადღაც წაიყვანეს. მაშინ არაფერი გაეგებოდა რა, ახლა ცხრა მთას იქით რომ გადაკარგო, აღარ შეეშინდება. განვითარდა, ბევრი რამ ისწავლა; იცის, ქვეყნიერობაზე რა ხდება, ერთის სიტყვით ის „ტეტია“ აღარ არის. მთელს სოფელში გამოერჩევა, სხვას ჭკუას ასწავლის, დაარიგებს, გავლენას მოიპოვებს და, ამას რაღა ჩაჩინი უნდა, მამასახლისად აირჩევენ ახლა გოგოები?!... საამბობი, დასატრაბახებელი, სალაპარაკო ბევრი რამ აქვს, რაც განცვიფრებაში მოიყვანს მათ და ბევრს გულსაც აუძგერებს.

ბევრი, ბევრი ტკბილი გრძნობა უტრიალებს გულში, მომავალი ბევრს კარგს უქადის.

სალდათი უცბად გამოერკვა ფიქრებს, მარდად წამოხტა ზეზე, აიკიდა ბარგი და გზას გაუდგა.

სოფლის ორღობიდან მთის მხარეს გამოუხვია წვრილფეხა საქონელმა. ძროხა, ხბო, დეკეული ცელქობდენ, რჩოდენ, ერთმანეთს წინ უსწრობდენ. პატარა ხანს უკან იმავე ორღობიდან გამოჩნდა წელში წახრილი დედაკაცი, რომელიც ჯოხს მალ-მალ იშველებდა და საქონელს ძლივს მისდევდა.

სალდათი შეჩერდა და დააცქერდა:—ეს ჩვენი სიდონია უნდა იყვეს—გაიფიქრა გულში, ბარგი ძირს დაწყო და, როდესაც მოხუცი დაუპირდაპირდა, ხმა მაღლა მხიარულად, შესძახა:

— სიდონიას გაუმარჯოს!

მოხუცი ხმაზე უცბად შეჩერდა და უცნობს გაკვირვებული თვალები მიაპყრო. სახეზე განცვიფრება და შიში აღებეჭდა.

— ვეღარ მიცანი, სიდონია?

სიდონიამ ხელი თვალებთან მიიტანა და კარგად დააცქერდა.

— გენაცვალეთ, შენ გოგიას ბიჭი არა ხარ?

— გოგიას ბიჭი ვარ!

— მიხაი?!

— ნამდვილადა!

— უი, შვილო!—ამ სიტყვებით მოხუცებული მოეხვია სალდათს და უკბილო პირით რამდენჯერმე აკოცა.

— საწყალი დედაშენი, რა რიგ გაეხარდება!—ძოხუცმა თვალი მოიწმინდა.—დღესაც გიგონებდა, შვილო. დადნა, ადამიანი აღარ არის. დილას გვერდზე გამოვუარე, ქათმებს აშმევდა. როგორა ხარ, შე უბედურო-მეთქი? ეჰ, ვარ ასე, გაძაღლებულიო.

სალდათმა ამ ლაპარაკს ყურადღება არ მიაქცია და ჰკითხა:

— ხომ ყველანი კარგადა ხართ, სიდონია?

— ეჰ, რა ყოფნაა ჩვენი ყოფნა, შვილო!

— მაინც რა ამბებია აქეთ? მე ხომ ხუთი წელიწადია რუსეთში ვარ გადაკარგული. ამ ხნის განმავლობაში ცოლი რომ შემერთო, ჩემს შვილს ახლა მეხრეობა შეეძლებოდა. როგორა ცხოვრობთ? ვინ მოკვდა? ვინ დარჩა? ცხოვრება გაჭირდა, გაადვილდა? მიაყარა კითხვები სალდათმა, რადგან უნდოდა ბებერი ლაპარაკში გამოეწვია.

— ჩვენს სიცოცხლეს ნუღარ იკითხავ, შვილო,—დაიქნია თავი მოხუცებულმა და ჯოხს მაგრად გადაებჯინა. სჯობდა ამ დღეს არ მოვსწრებულიყავ და პატარა ადრე ჩავსულიყავ მიწაში. ეგ არის, პირში სული გვიდგია, თორემ ჩვენი სიცოცხლე განა სიცოცხლეა? ოჯახს ვერ იპოვნი, რომ გლოვა და ტირილი არ იყვეს, ხოგს მუჭაზე დასაყრელი ფქვილი არა აქვს. აირია ქვეყნიერობა, შვილო, მეორედ მოსვლას რომ იტყვიან, სწორედ ეს არის. აი ეს მოგვიტანა ერთობამა, ეს შეგვძინა „ბუნტმა“!

სალდათი ღიმილით უგდებდა ყურს მოხუცებულის ლაპარაკს, რადგან იცოდა სიდონიას, ცოტა არ იყოს, ლაპარაკი და საქმის გაზვიადება უყვარდა და შეკავებულის სიცილით ჩაეკითხა:

— ვინ „ბუნტი“, სიდონია, „ბუნტს“ ვის უძახი?

— „ბუნტი“, „ბუნტი“ გენაცვალე! აჩქარებით და შიშით დაიწყო მოხუცმა და აქეთ იქით მიიხედა ეს სულ „ბუნტის“ საქმეა. თუმცა ჩვენს სიცოცხლეს სიცოცხლე არ ერქვა, მაგრამ ასე თუ ისე დღეებს ვაჩანჩალებდით. მოვიდა და აურია აქაურობა. ის ან აგვაშენებს ან სულ დაგვაქცევს. პირველად შარშან შემოდგომაზე მოვიდა, მოუყარა სოფელს თავი და იქადაგა: მიწა ღმერთმა ყველასათვის გააჩინა, მაგრამ თავად აზნაურები წამოვიდენ,—ეს ჩემია, ეს ჩემია, და თქვენ, საცოდავებო, კი ისე დარჩითო. ისინი კისერზე გასხედან და ქვეიდან შოშასავით საქმელსა გთხოვენო. კარგად ელაპარაკნა, ღვთისნიერი კაცია თურმე. ეგ არის, თუ გაჯავრდა, აღარავის არ ინდობს, მისდგება, ყმაწვილო, აგინებს, ლანძღავს ამოდენა ხალხს, ვირებს ეძახის. შემდეგ დაარიგებს, ასე და ასე მოიქეცითო და წავა. სოფელში ღამე მოვა და ღამე წავა.

აქ მოხუცებულმა ხმას უფრო უკლო და მიხასკენ მიიწია.

— შენმა კეთილმა გაიხაროს, როგორც ჩვენ გავიხარეთ; ვთქვით, ღმერთმა ახლა კი ჩვენსკენაც მოიხედა, გვეშველება რამე, სიღარიბიდან ამოვალთო. ღალები სოფელმა აღარავის მისცა, თავად-აზნაურებს მოსამსახურეები ჩამოვართვით, ახლოს აღარ ვეკარებოდით. ხალხმა მიწები დაირიგა, გადახნა, ვისაც მუშა ხელი და ხარი ჰყავდა, ტყეებიდან კარგად ისარგებლა, პატარა ხანს თავისუფლად ამოვისუნთქეთ, მაგრამ რა, შვილო,—მოხუცმა თავი გაიქნია და ძირს დაუშვა,—ამოგვაშხამეს, შვილო! ჯერ ზეკუციებმა ამოგვხადეს სული, სოფელი გატყავდა. ყველანაირი გარდასახადები ერთბაშად გადაგვახდევინეს, შემდეგ შემოგვესია ყაზახი და სალდათი და სულ მტვერი აგვადინეს. რამდენი უბედურება დაატრიალეს, ვინ მოსთვლის, რამდენი ქალი გაუბედურდა, რამდენი ცის ქვეშ დარჩა. დედიშენის მდგომარეობაში ბევრია, შვილო, მარტო ის არის, სხვაც ბევრი სტირის ამასთან!..

სალდათს ამ ლაპარაკისა ვერაფერი გაეგო, მაგრამ ღიმილი სახეზე თან და თან გაუქრა და რასაც მეტს უკვირდებოდა ბებრის ლაპარაკს, გულში შიში ებადებოდა.

სალდათი ჩააკვირდა მოხუცის შიშით მოცულს სახეს, კარგა ხანს უყურა, უცბად შეკრთა და სულ-შეგუბებულმა ჰკითხა:

— ჩვენს თავს უბედურობა ხომ არაფერია?

მოხუცმა თავის მხრივ შეხედა სალდათს და დაიბნა. აშკარა იყო, სალდათმა არ იცოდა, რა უბედურობა ეწვია მის ოჯახს და ეს ამბავი პირველად სიდონიას უნდა გაემეღავნებინა.

სიდონია თოფნაკრავივით გატრიალდა გვერდზე და საქონელს გამოეკიდა:

— გიჩაოოო, გიჩო, სად მიხვალ, შე სამგლე, შენა! — წვრილი, ხანლეჩილი ხმით შეჰყვირა და, როგორც კი შეეძლო, ფეხი აუჩქარა.

სალდათი სახტად დარჩა, კარგა ხანს უყურა მიმავალ სიდონიას, შემდეგ აჩქარებულის გულით დასტაცა ხელი ბარგს და თითქმის სირბილით ორლობეში შეუხვია.

სვ. ეიფეანი

(შემდეგი იქნება)

წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ მეათე ნომერში, სხვათა შორის, სვ. ე-ნის წერილია დაბეჭდილი. ამ წერილში მოხსენებული ავტორი დაბრალებულ ამ საზარელ ტანჯვა-ვალებზე, რომელიც წარსულ წელს ეასახებმა მიაუნეს ქართლის ზოგიერთ სოფლებს. გული სევდა-ნაღველით გეესებათ და მრისხანებს საზღვარი ეკარგება, როდესაც ბარბაროსულ ამბებს კითხულობთ... და ძალიან კარგს იზამდა ავტორი, რომ მხოლოდ ამ ამბების მოთხრობით კეთილეებინა თავისი სიტეხოვო წერილი! სამწუხაროდ, ასე არ მოიქცა ბ. ე-ნი! მოხსენებული თვ სი წერილი ისეთნაირად გაათავა, რომ ეს დასასრული პირველი ნახევრის შთაბეჭდილებასაც კი ასუსტებს. წერილის უკანასკნელ ნახევარში ავტორი აქვეეონო, საზოგადო საგანს თავს ანებებს და გადადის კერძო მოვლენაზე. ქართლის გენერალ-გუბერნატორისთვის სადილი გუეკეთებია გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ბ. ბაგრატიონ-დავითიშვილს, და ამ სადილზე მრავალი, ქართველების დამამცირებელი, მათი შეურცხვოფეელი, სიტეეები ეოფილა წარმოთქმულიო. დიახ, როგორც მეც გავიგე, ბ. ბაგრატიონ-დავითიშვილს სადილად ჭეოდოდა ქართლის გენერალ გუბერნატორი, მაგრამ კარგად ვიცნობ ბაგრატიონს: ვიცი მისი გულდიადი რწმენა, მისი სიერა მიმართულება და ამისკენო მოხსენებულ სადილისთვის არავითარი ეურადღება არ მიმიქცევია. ამასთანავე შინაურულად სადილების კეთება კერძო ოჯახური საქმეა და ამისთვის მარეებულმა ადამიანმა საზოგადოებაში გასასტან ამბად არ უნდა გადაქციოს იგი. კარგა ამისა, ბ. ბაგრატიონ-დავითიშვილი ოფიციალური წარმომადგენელია ქართლის თავად-აზნაურობისა და ამგვარ მდგომარეობის კაცი ხშირად, და ბევრჯელ ძალაუნებურადაც, უხდება მისვლა-მოსვლა, საქმის დაწერა მთავრობის სხვა და სხვა წარმომადგენლებთან. საუბედუროდ, ამ წარმომადგენლებს ხშირად დიდი გავლენა აქვთ ქვეყნის ბედ-იღბალზე, და ვისაც ეს ბედ-იღბალი ძვირფასად უდირს, მან ბევრჯელ პირადი ანგარიშები გვერდზე უნდა გადასდოს და ხსენებულ წარმომადგენლებთან დაახლოებული ურთიერთობა დაიწიროს. ეჭვი არ უნდა, რომ ბაგრატიონ-დავითიშვილმა ჩვენი მხრის მდგომარეობა, მისი ცხოვრების სხვა და სხვა მოვლენა-საჭიროებანი უფრო კარგად იცის, ვიდრე გენერალ ბაუერმა... და განა დასაძრახისი უნდა იეეეს პირველი, რომ ამ ცოდნით, დეიძლი ერის ერთგულებით დაუახლოდეს უკანასკნელს? თქვენ ის მაბძანეთ, — რა ენება მოაქვს ქვეეონისათვის ამგვარ დაახლოებებს და მე თქვენ მოგახსენებთ, — რადგანი საჩვენებლობის მოტანა შეიძლება ამისთანა საშეალებით. დასაბუთება ამ აზრისა ძრიელ ადვილი საქმეა, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ამჟამად საანდაზო თვეზის მდგომარეობაში ვიმეოფები და ამიტომ თავისუფალად კერ ვსარგებლობ მრავალი ფაქტებით. ვარწმუნებ კი ბ. სვ. ე-ნს, რომ გორის მაზრაში არავითარი პირადი ანგარიშები არ მიუძღვის ქართლის გენერალ-გუბერნატორთან მისვლა-მოსვლის დროს: არაფერით არ არის მასზედ დამოკიდებული, არ ესაჭიროება არაფერში, არავიარ წესლობას არ კამოეოლის მისკენ. ბ. ე-ნი დიდად შეცდარია მაშინაც, როდესაც მაზეზად ბაგრატიონის გენერალ-გუბერნატორთან დაახლოებებისა სთვლის ამ კარეშეებს, რომ ვითომც მირეველს ამთაგანს „უხარიან რეაქცია, თან ეერძნობს ჯარის საზღვარ მოქმედებას და გულიანად მადლობას უძღვნის. მაგ. ამისთანა მეკერი მსჯავრი სავეეო პატიოსნების ადამიანზედაც კი არ უნდა წარმოსთქვას კაცმა, უკეთუ ეოველის მხრივ კემოკელეული სიბეეთები არ უეერია ხელთა; ხოლო როდესაც მრავალთაკენ ცნობილ მოდეაწეზეა დაბარაკი, მაშინ ესეთი კანაჩენი არა მარტო შეცდომაა, რომელ დანაშაულიც. ცხრა წელიწადია, რაც ბ. ბაგრატიონ დავითიშვილი გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლია და ამ დროს განმავლობაში იმდენი ერთგულება ქეეენისა, პატიოსანი სამსახური ერისა კამოუჩენია, რომ მისი პიროვნება სრულიად ცხადი უნდა იეეეს ეოველი შეგნებული ქართველისთვის მაინც. ნუ გიტეეთ ნურაფერს მასზედ, თუ როგორ მოაწეო, წარსულთან შედარებით, ჯარში გაეეანის საქმე! ნურც სინდიკატზე, რომელიც მან დაარსა და რომელიც მისივე ზნეობრივ და მატერიალურ დახმარებით ადეკმს დღევანდლამდე სულს! ნურც იმაზე გავიბმთ ლაპარაკს, თუ როგორი თავმჯდომარეა გორის საქალო გიმნაზიის მზრუნველ კომიტეტისა. როგორ მზრუნველობას უწევს გიმნაზიაში მოსწავლე ბავშვებს; როგორ სდარაჯობს მოხსენებულ სასწავლებელში სამშობლო ენას... ავუაროთ გვერდზე ეველა ამას და კიდევ ბევრს მისგან ჩადენილ, კეთილ საქმეებს და გავიხსენოთ მხოლოდ ორი ამბავი, რომელიც დიდიხანი არ არის, რაც მოხდა და ამიტომ, ეჭვი არ უნდა, ქართლში ამქამადაც ეეედს ეხსომება. გორის მაზრის ს. ტაბრონში წარსულ წელიეე საშინლად გამწვავდა ურთიერთობა მემამულეს და კლეხთა შორის. ბევრნაირად დაზარალებულმა მებატონემ ამ გაზაფხულზე ქართლის გენერალ-გუბერნატორს წარუდგინა ანგარიში თავის ზარალისა და ამ ანგარიშით ათას სამს თუმანს თხოულობდა კლეხებისგან. ადგილობრივმა მთავრობამ გადასწეეტა დაკმაყოფილება მემამულისა. ჩამოვიდა ბრძანება, რომ დანაშნულ ადგილს წასულიეო საამიტი ეახახი და იმდენ ხანს მდგარიეო იქ, ვიდრე კლეხები სრულიად არ დაკმაყოფილდენ მოხსენებულ მოთხოვნილებას. ეს ამბავი შეატეო ბაგრატიონ-დავითიშვილმა, საოხოვა მთავრობას და რამდენიმე დღის ვადით შეაჩერებინა „მეზეკეტიის“ გაკეეანა. ამის შემდეგ მიაწვა მემამულე, შეკვრა კლეხები, ჩამოდგა მათ შორის და ბევრის მეგობრობის შემდეგ მშვიდობით მოარიგა იგინი. მემამულე ათას სამს თუმნიდან ხუთს თუმანზე ჩამოვიდა და კლეხებმა უარის უთქმელად გადიხადეს ეს ფული. თქვენ თითონ წარმოიდგინეთ, ჩემო ბატონო, რა ეცხადიც ადტრანდებოდა მოხსენებულ უბედურ სოფელში, რომ — ერთის მხრივ — ათას სამასი თუმანი ფული გადაეხადეგინებინათ, და — მეორეს მხრივ — სამოცი ეახახი რომ ჩამდგარიეო იქ! ამ საშინელი კანსაცდელისგან სოფელი იხსნა ბ. ბაგრატონ-დავითიშვილმა... და განა მარტო ეს ერთი სოფელი? მეორე ამბავი: ბარშნ ზაფხულ ბაგრატიონის თავმჯდომარეობით კომისია იქმნა შედგენილი და ეს კომისია გაიგზავნა ქართლში მოსარიგებლად კლეხებისა და მემამულეთა. მოელი სამი თვე დადიოდა იგი სოფლიდან სოფლად; არ ერიდებოდა არც სიცხე-ბაპასქებს, არც განუწეეტელ შრომას, არც ათასგვარ უსიამოვნობას და ეეედგან, სადაც კი მიდიოდა, კლეხსა და მემამულის პატრონს ნებაეოფლობით არიგებდა, დროებით მაინც სეობდა მათ შორის უსიამოვნობას და, შეძლების დაკვარად, მშვიდობას ამყარებდა. არ შეშინეარია არც ერთი კლეხი, რომელსაც ამ კომისიასთან საქმე ჭქონოდეს და მის წინააღმდეგ რამე სამეურავი ეთქვა. სამდურავს თუ აცხადებდენ, ისეე თავად-აზნაურები, რომელთაგან ზოგიერთებმა ვარანგოვ-დაკოვანაც კი შეატანეს საჩივარი: ბაგრატიონ-დავითიშვილი კლეხებს ეხმრობა, ჩვენს ძველებურ ეე-

ლებათ არდგევს, ჩვენს მოთხოვნილებათ უურადღებით არ ეკიდებაო. და ათასსაირ შრომასთან ერთად ესეთი კლიუსნიკური სიზიერებიც უნდა ესმინა და მასზე დაწვრილებითა ჰასუხიც ეძლია. რადგან? რად სჩადიოდა ბაგრატიონ-დავითიშვილი ეველა ამას?—ამად, ჩემო ბატონო, რომ ტუნჯულ სამშობლოსათვის გული შესტკიოდა და, რაც კი შეეძლო, მის კეთილდღეობას ემსახურებოდა. და ამისთანა კაცი, განა, სიხარულით შეხვდება რეაქტიას, რომელიც დამდუბველია ქვეყნისა? განა თანაგრძნობას გამოუცხადებს ჯარის სახაზეარ მოქმედებას, რომლისგან მისი თანამემამულენი ჯანუზომელ მწუხარებაში ლეგენ სულს?

ბოლოს ბ. უ—ნი ბძანებს: ამ სადილზე გორის მაზრის უფროსმა ხმა მაღლა განცხადა: გორის მაზრას ლეკურს ვითამაშებ, ეოველ დონისძიებას ვიხმარებ, რომ ქედი მოვახრევინო, არ დავერიდები არავითარ საშუალებას, რომ ცხოვრება თვის კალთაზოტში ჩავაგდო; არ დავინდობ არც ქალს, არც ბავშვს, ბრალიანსა და უბრალოს. ამას ვიზამ, თუნდ თვით ხელმწიფემაც მითხრას: მაგას ნუ იზამო, და შემდეგ გამასამართლონო. ამას ორიოდ სიტყვა დუმატა გენერალ-გუბერნატორმაცა. და სხვ.

მოხსენებულ სადილზე ბაგრატიონ-დავითიშვილს, ქართლის აენერალ გუბერნატორის კარდა, მიწვეული ჰეოლია ეველა მოშრიკებული შუამავალნი გორის მაზრისა. აქ ეოფილან სარდიონ ამირეჯიბი, კოს. ამირეჯიბი, კიორ. ვეზირიშვილი და მიხეილ ერისთავი. არა მხოლოდ მასპინძელი, არამედ ე�eველა ეს მოხსენებული პატივცემული პირნი ერთხმად აღიარებენ, რომ ზემოთ მოყვანილი სიტყვები თავიდან ბოლომდის სრული ტალახწყმენა და სიტრუფაა. მუშეკამს ამ პირია პატოსანი სიტყვა და ამიტომ ამათ ნათქვამს უფრო სარწმუნოდ ვრცხავ, ვიდრე სვ. ე—ნისა, რომელიც, ეშვი არ უნდა, უნებლიეთი მსხვერპლი გამხდარა ვიღაც ჭოროკანა ენისა და დაუფენებელის პირისა. „არა მგონია, ეორის მაზრის თავად-აზნაურობამ მოუწონოს თავის წინამძღოლს ესეთი სტატიული და დიბრეულად არ დაჭგმოს იგიო“, ბძანებს დასასრულ სვ. ე—ნი სჩანს, ეორის მაზრის თავად-აზნაურობა თავის წინამძღოლს სვ. ე—ნზე უფრო კარგად იცნობს და ამისგამა არა თუ არ დაჭგმო, არამედ სრული პატივისცემა დი ნდობა გამოუცხადა: შვიდ მაისს ერთხმივ დასასხვლა სახელმწიფო სათათბიროში გასაგზავნ დეპუტატების ამორჩევლად.

ნ. ლომოურა.

შემოწირულება. რედაქციამ მიიღო კნ. ელენე ესტატეს ასულის ციციშვილისაგან საქართველოში განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს დაზარალებულთა სასარგებლოდ ერთი მანეთი.

რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი
გამომცემელი თ-დი პავლე ი. თუმანიშვილი.

განცხადებანი

ფოთის სავაჭო გიმნაზია აცხადებს, რომ 1 სექტემბრიდან 1906 წ. იხსნება მოსამზადებელი, პირველი და მეორე კლასები. მესამე კლასის გახსნა მსურველთა რაოდენობაზეა დამოკიდებული. მოწაფეთა მისაღები გამოცდა (ეგზამენი) მოხდება 5 და 6 ივნისს, აგრეთვე აგვისტოს დამლევს. მოსამზადებელ კლასში მიიღებიან 8—10 წლის ყმაწვილები, პირველ კლასში—10—12 წლისა და ასე ზევით. თხოვნები ბავშვების მიღებაზე საეგზამენოდ მიიღება თოფის ქალაქის გამგეობაში ფოთის სავაჭო გიმნაზიის დირექტორის სახელზე. თხოვნასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იქმნას მოწმობები: მეტრიკული, შესახებ წოდებისა და ყვავილის აცრისა.

დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი
(3—2) ს. ბ. იაგულოვი.

რკინის გზით მგზავრ ქართველ მკითხველთა საყურადღებოდ.

დაიბეჭდა და ისყიდება სადგურ მიხაილოვის ბილეთის კასაში საინტერესო ახალი თანამედროვე რომანი ორ ნაწილად.

ცხოვრება და სიყვარული

წიგნი დიდი ზომისაა. დაწერილია ღღეევანდელ კითხვებზე, ცოლ-ქმრის კავშირზე და სქესობრივ დამოკიდებულებაზე. დაბეჭდილია სუფთად, მშვენიერის კანით, მაგრა შეკერილი, შეიცავს 350 გვერდს და ღირს მხოლოდ ორი აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „Цодна“. Ст. Михайлово, первому билетному кассиру Чархишвили. (10—4)

მოითხოვეთ ნამდვილი

„ოდოგრინი“ მ. ვ. ლეგედევისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბეგერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად, მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (წლ.)

ბესსარაბიის 129 ქვევითა პოლკი

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში კურინის 79 ქვევითა პოლკის ეზოში ამა წლის 9 ივნისს, დილის 10 საათზე საჯარო აუქციონით გაიყიდება 33 ქვევითა დივიზიის ტყვიის მტყორცნელ როტის ზედმეტი 29 ცხენი. (2—1)

საუმაწვილო ჟურნალი

ნ ა კ ა დ უ ლ ი

სურათებით

წელიწადი მეორე.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, წ.-კ.გ. საზოგადოების კანცელარიაში და მარიამ დემურიას ბინაზე, ალექსნდრეს ქუჩა, № 5. რედაქცია იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში, № 8.